საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი 30 იანვარი 1919 წ.

# ერთობა

ფასი 50 კაპ.

ფასი დღის: 1 თვით 12 მანეთი ცალკე ნომერი ღირს 50 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საქმიანი განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ სტატიებს რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან არ უბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მოსაწერად ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს: თფილისი, ფოსტის ყუთი № 199 გაზ. „ერთობის“ რედაქცია. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციის და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 24.

ტელეფონი 16—62.

№ 23 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 23

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები: დათიკო და ვარდოფინე, დები: სოფიო, ანეტა და დომინიკა, ძმა კარლოსი, სიძე ბარნაბა გოგვაძე. ბიძები: იაგორ და ბართლომე მეგრელიძეები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ 2 თებერვალს (ახ. სტ.) დილით, კვირას, 12 საათზე სოფ. ზემო-აკეთში (გურია) გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ჩვენი სამშობლოს მტერთან ბრძოლაში გმირულად დაღუპულის

პრაპორშჩიკ ექვთიმე კუკულაძის

სულის მოსახსენებლად.

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ოლღა, შვილები ნადია და ქენია, მამა მარკოზი, ძმა ბარნაბი კუჭუხიძეები და ქვისლი იასონ მიქიაშვილი მეუღლითურთ აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ სომხებთან ბრძოლაში ეკატერინოფელდთან 19 დეკემბერს დაჭრილ და 21 დეკემბერს გარდაცვალებულის

მელიტონ მარკოზის ძე კუჭუხიძის

ორმოცი დღის პანაშვიდი გადახდილ იქნება შაბათს, პირველ თებერვალს, ნაძალადევის ეკლესიაში დღის 11 საათზე. ვსთხოვთ ყველა ნაცნობ-ნათესავთ თავისი დასწრებით პანაშვიდზე პატივი სცენ მიცვალებულის ხსოვნას.

მანგლისის რაიონის ს. დ. კოლექტივი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს, რომ 23 იანვარს, ყაჩაღებთან ბრძოლაში ვერაგულად მოკლულ იქნა შტაბს კაპიტანი

შალიკო მეტრეველი

რომლის ცხედარი ჩამოსვენდა თფილისში 27 იანვარს.

მეოთხე რაიონის სახალხო გვარდიის შტაბი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს ფრონტიდან დაბრუნებულ სახალხო გვარდიელის

მათე ივანეს ძე ჩიტიაშვილის

მცირე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას. სთხოვს ამხანაგებს დაესწრონ დასაფლავებას, რომელიც დანიშნულია 30 იანვარს საბურთალოს ეკლესიაში 10 საათ.

გულ დამწვარი დედა ელპიტე, ძმა ამბერკი, და ელისაბედი, ბიძა პავლე, ბიცოლა ეკა, ბიძაშვილები: ვლადიმერ, ფიკა, კოზმე და სერაპიონ, რძლები: ანიჩკა და ალექსანდრა ცქვიტინიძენი, სიძე—ბიძაშვილები: ბიქტორ და სეფორა ჯაყელი, ისაკი და ანეტა ვაშალომიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 16 იანვარს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დაუვიწყარი

კირილე დიომიდეს ძე ცქვიტინიძე (ფარმაცევტი)

რომლის დაკრძალვა მოხდა ს. ოქროსქედში (გურია) 18 იანვარს.

## საქართველოს მოქალაქეთა მიმართ

საქართველოს ნორჩმა რესპუბლიკამ მემკვიდრეობათ მიიღო ცარიელი ხაზინა და საშინელი ფინანსიური მდგომარეობა.

ამავე დროს იმ მრავალ არაჩვეულებრივ ხარჯების გარდა, რომელიც დაგვჭირდა სახელმწიფოებრივ ცხოვრების მოსაწყობად რესპუბლიკაში, ჩვენ გადასახადად დაგვაწვა რუსეთის ფრონტისა და დაწესებულებათა ლიკვიდაციით გამოწვეული აუარებელი ხარჯიც.

ანარქიასთან ბრძოლა კი დიდხანს გვიშლიდა ხელს ისე მაგრად შევუდგომოდით გადასახადების მოკრეფას, როგორც ამას მოითხოვდა საქმის ინტერესი და თუმცა ამ უკანასკნელ დროს შემოსავალმა იმატა, ჩვეულებრივი გადასახადები მაინც ვერ დაფარავენ ყველა არაჩვეულებრივ ხარჯებს.

შემუშავებულია და პარლამენტის მიერ მიღებული მთელი რიგი კანონ-პროექტებისა სახელმწიფოს შემოსავლის გასაძლიერებლად, მაგრამ ყველა ამ კანონების ცხოვრებაში გატარება საკმაო დროს მოითხოვს.

სახელმწიფოს საჭიროებანი კი დაუყოვნებლივ მოითხოვენ დაკმაყოფილებას. სხვა არაჩვეულებრივ მოთხოვნილებათ რომ თავი გავანებოთ, ადვილი წარმოსადგენია, რა ფული დაუჯდება რესპუბლიკას ლიკვიდაცია ომით გამოწვეულ ხარჯებისა.

ამიტომ, საჭიროა დროებით, სანამ გადასახადები შემოვიდოდეს, სესხის საშუალებით ხაზინის გამაგრება, ხოლო ამაც ჩვენ საკუთარ თავის, სამშობლოს ერთგულ მოქალაქეთა იმედი უნდა გვქონდეს.

ამ განზრახვით დაადგინა პარლამენტმა სახაზინო ვალდებულებათა გამოცემა. არ არის ქვეყანაზე ისეთი სახელმწიფო, რომელიც არაჩვეულებრივ ხარჯების დასაფარავად, სესხს არ მიმართავდეს. აღნიშნული სესხი კი თავისუფალ საქართველოს რესპუბლიკის პირველი სესხია.

მოქალაქენო, თქვენ უკვე იცით, რარიგ შეღავათიან პირობებშია ეგ სესხი, ეგ სახაზინო ვალდებულებანი გამოცემული.

იგი მოკლე ვადიანია, სახელდობრ, ერთი წლის შემდეგ იქნება გადახდილი.

იგი სარგებელს იძლევა 5% და ეს სარგებელიც წინ და წინ ეძლევა ვალდებულების მიმცემს არიგებულ სახაზინო გადასახადის გამოუკლებლად.

იგი მიიღება მთავრობის მიერ, როგორც საწინდრად, ისე სხვადასხვა გადასახადებში ნაღდი ფულის მაგიერ.

ერთი სიტყვით, ვალდებულებანი თავის ღირსებით თითქმის არაფრით განირჩევიან ნაღდი ფულისგან.

და თუ ასეთი შეღავათიანი პირობები დაუდევით საქართველოს რესპუბლიკის პირველ სესხს საფუძვლად, ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ საქართველოს მოქალაქენი ხელს შეუწყობენ სესხის დაუყონებლივ განაღდებას.

საზოგადოების ყოველი კლასი ვალდებულია ამ დიად დროს, როცა მკვიდრდება საფუძველი ჩვენი სახელმწიფოებრიობის, ნივთიერ დახმარებით ხელი შეუწყოს თავის მთავრობას.

ჩვენი სახელოვანი გვარდია და ჯარი, ხალხის ნამდვილნი შვილნი სიცოცხლეს სწირავდნენ და სწირავენ საქართველოს რესპუბლიკის კეთილდღეობას; ისტორია ავად მოიხსენიებს იმათ, ვისაც შეეძლო და ნივთიერი მსხვერპლიც კი არ გაიღო ამავე დიად დანიშნულებისათვის.

ახლა შემთხვევა ეძლევა შეძლებულ პირებს, დაამტკიცონ თავისი მამულისადმი სიყვარული და ერთგულება.

მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სახაზინო ვალდებულებათ საზოგადოების ფართე წრეებიც შეიძენენ, რადგან ეს ვალდებულებანი ყველასათვის ხელსაყრელი და ხელმისაწვდომია.

ქალაქის და ერობის თვითმართველობანი, კოოპერატივები, ყველა საზოგადოებრივი დაწესებულებანი მოვალენი არიან ზნეობრივად ხელი შეუწყონ ამ სესხის სავსებით განაღდებას.

სესხის სავსებით განაღდება ერთხელ კიდევ დაამტკიცებს, რომ საქართველო ნდობით ეპყრობა მის დემოკრატიულ მთავრობას და მაჩვენებელი იქნება ჩვენი ფინანსიურ მდგომარეობის განმტკიცებისა.

მოქალაქენო, ამ სესხის განაღდება თქვენგან არავითარ მსხვერპლს არ მოითხოვს, დაამტკიცეთ მამულის სიყვარული საქმით, დაუმტკიცეთ ქვეყანას თქვენი სამშობლოსადმი ერთგულება.

ნუ დარჩება ნურცერთი მოქალაქე, რომ ვალდებულება არ შეიძინოს.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი.

10—4) დედანთან სწორია. საქმის მწარმოებელი გ. აბაშიძე.

## არჩევნებისათვის

ორი მნიშვნელოვანი არჩევნები გვაქვს მოსახდენი: ქალაქის თვითმართველობების და საქართველოს დამფუძნებელი კრების.

ქალაქები უკვე შეუდგნენ ახალ არჩევნებს და ზოგიერთ პროვინციაში კიდეც მოეწყო ახალი საქალაქო საბჭო. მაგრამ პროვინციის ქალაქების საკითხი ჩვენ ინტერესს არ გვაინტერესებს, რადგან ვიცით, რომ იქ ძლიერია დემოკრატია, რომელიც სოციალ-დემოკრატიის შემწეობით ნწყობრათ არის დარაზმული და შესაფერისათ უმკლავდება თავის მტრებს. უზრუნველყოფილია დამფუძნებელ კრების შედეგიც: ჩვენი ცხოვრების პირობებში ჯერ-ჯერობით ვერ შექმნეს ძლიერი ბურჟუაზია. კიდევ მეტი: ჩვენი ბურჟუაზია იმდენათ უსუსურია, რომ მან ჯერ კიდევ ვერ მოაწყო პოლიტიკური პარტია. ამის დამამტკიცებელია ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პროგრამა და ტაქტიკა. ამ პარტიაში სულ უკანასკნელ დრომდე თავსდებოდნენ ერთმანეთის გვერდით ერთის მხრით ვაჭრების წარმომადგენლები, ხოლო მეორეს მხრით მემამულე თავადთა იდეოლოგები. და მხოლოდ პირად კინკლაობის ნიადაგზე აღმოცენდა ის განხეთქილება, რომელმაც ეს პარტია ორათ გაჰყო: ეროვნულ დემოკრატიულ (გვაზავა, კედია და სხვ.) და ეროვნულ პარტიათ (ვეშაპელი, გაბაშვილი და კომპ.). ეს ორი ახალი პარტია დღეს ასე ახასიათებს ერთმანეთს: კედია გვაზავას პარტია ფეოდალურს უწოდებს ვეშაპელ გაბაშვილის პარტიას, ხოლო ეს უკანასკნელი პირველს სპეკულიანტთა პარტიათ თვლის. ეს დახასიათება საუკეთესო მაჩვენებელია ამ პარტიების უნიადაგობისა ჩვენში: და მართლაც, როგორ შეიძლება ხალხის ფართო მასსა დღეს სპეკულიანტ-ვაჭრების ან გადაგვარებულ მემამულეების წარმომადგენლებს გაჰყვეს.

არის კიდევ ორი წვრილი პარტია, რომელსაც პროგრამაში სოციალიზმი უწერია: სოციალისტ ფედერალისტთა და სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტია, რომელთა შორის სახელს გარდა, კიდევ მხოლოდ იმდენი განსხვავებაა, რამდენიც აუცილებელია ინტელიგენტთა ორ ჯგუფს შორის.

იმ დროს, როცა ჩვენ რუსეთის დემოკრატიასთან ერდად ვაძლიერებდით საქართველოს დემოკრატიას, ესენი „მამაოჩვენოსავით“ იმეორებდნენ ავტონომიას და არ სურდათ გაეგოთ, რომ შექმნილ მდგომარეობის მიხედვით შესაძლოა ავტონომიაზე შორსაც წასვლა და სრული დამოუკიდებლობისათვის მხარის დაჭერა. დღეს უკვე ფაქტია ეს დამოუკიდებლობა, რომელსაც ჩვენ ვიცავთ. ამ გარემოებას თითონ ფედერალისტებიც კი ვერ უარყოფენ დღეს. რაც შეეხება მათს სოციალიზმს, ეს გამოიხატება სოციალიზაციის უმწეო გამომზეურებაში. ცხადია, ფედერალისტ-ესერებს დღეს ხალხთან მისასვლელი პირი არ აქვთ.

ასეთია ჩვენი მოწინააღმდეგენი დამფუძნებელ კრების და პროვინციის ქალაქის არჩევნებში. და აქ ჩვენ მხოლოდ ერთი საშიშროება მოგველის: აბსენტეიზმი. ამ გარდამავალ ხანაში ჩვენ ხშირათ გვიხდება სხვადასხვა არჩევნების მოხდენა, რამაც ხალხი საკმაოდ დაქანცა. ამიტომ ჩვენი მოვალეობაა აუხსნათ ხალხს, თუ რა დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა ექნება ჩვენს დამფუძნებელ კრებას და შევეცადოთ, რომ ჩვენმა დემოკრატიამ მხურვალე მონაწილეობა მიიღოს ამ არჩევნებში და არც ერთი ხმა არ დაიკარგოს.

სულ სხვა მდგომარეობაა თფილისში. როგორც მცხოვრებთა რიცხვით, ისე კულტურულ-ეკონომიურ მნიშვნელობით თფილისი საქართველოს ცენტრია, მასი სული და გულია ვინც აქ არის გაბატონებული, ის მთელ საქართველოში ძლიერია, და პირიქით, ვინც აქ მოისუსტებს, ის უძლური იქნება მთელს საქართველოში. თფილისში თავმოყრილია ისეთი ელემენტი, რომელიც ან სომხეთს ან რუსეთს ემსახურება, ხოლო ორივე ერთად ჩვენი რესპუბლიკის დანგრევას ცდილობს. ამ დამრღვევ და არსებითად კონტრ-რევოლიუციონურ ელემენტს ჩვენ უნდა დაუპირდაპიროთ ის ძალა, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის და დემოკრატიის ძლიერების ნიადაგზე სდგას. ასეთია სოციალდემოკრატია, რომელიც დღეს ხალხის ფართო მასის პარტიაა. მთელს დემოკრატიას, ყველა სასიცოცხლო ელემენტებს თავი უნდა მოეყაროთ სოციალ-დემოკრატიული პარტიის გარშემო, ყველა ერის შეგნებულ მუშების და საერთოდ წვრილ ხალხს. აქ ალაგი არ ექნება ეროვნულ სხვადასხვაობას, გარდა იმ გამონაკლისა, როცა რუსი ან სომეხი მუშები და საერთოდ მდაბიო მოქალაქენი გულუბრყვილოთ მისდევენ იმ პარტიას, რომელიც საქართველოს დაქცევას სოციალიზმის გამარჯვებათ თვლის. ეს შეუგნებელი ხალხი და აგრეთვე სომეხი ბურჟუები და ყოფილი რუსი მოხელეები ხომეხ ზინვერებთან ერთად ზურაბოვის ჯგუფს მისცემენ ხმას, იმ ზურაბოვის, რომელიც ისე გაიტაცა ჩვენი დამოუკიდებლობის სიძულვილმა, რომ ყველასთან დიდი სიხალისით კრავს ბლოკს და თანამშრომლობს, თუ კი მისი მოკავშირენი იმავე დროს ჩვენი მოწინააღმდეგენიც არიან. და სრულიად არ არის შემთხვევითი მოვლენა ის, რომ დაშნაკლები საკუთარის დროშით არ გამოდიან ქალაქის არჩევნებში: მათ კარგათ იციან, რომ მათი დროშა დღეს სახელგატეხილია, რომ ლტოლვილების და სალდათების წასვლის შემდეგ მათ შარშანდელივით დიდი ძალა აღარ ჰყავთ თფილისში. ამიტომ ყველა მათი ხმები ბ. ზურაბოვის ჯგუფს გადაეცემა, რადგან ბ. ზურაბოვი გამოდის რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის სახელით. ასეთ გზადაბნეულებზე ჩვენ გავლენას ვერ მოვახდენთ.

მაგრამ ჩვენი პოლიტიკური ვალია ფარდა ავხადოთ ამ არამკითხე ავანტიურისტებს და თფილისის არჩევნებით შევაგნებინოთ, რომ მათი ალაგი სადმე ერევანში ან ბოლშევიკურ რუსეთშია და არა საქართველოს დემოკრატიის დედა ქალაქ თფილისში.

## კაპიტულიაცია

არც ერთი ქვეყანა არ ყოფილა ისეთ მძიმე და აუტანელ პირობებში, როგორშიაც არის რუსეთი. მრეწველობა დაეცა, ზოგი დარგი სრულიად გაქრა. ყოველ დღე იხურება ფაბრიკა-ქარხნები; იზრდება უმუშევრობა, ხალხი შიმშილით იხოცება, სახალხო მეურნეობა სასიკვდილო კრიზის განიცდის, იმპერიალური ჯარები რკინის სალტესავით გარს შემოერტყა ქვეყანა ნაპრალის პირათ დგას და სადაცაა ანარქია შთანთქავს.

რეაქცია აძლიერებს ბოლშევიზმს; ბოლშევიზმი ასაზრდოებს რეაქციას. ეს ნათელი იყო დღემდის ყველა სოციალისტური პარტიებისათვის. ამიტომაც იყო, რომ ბოლშევიზმი განმარტოებული დარჩა. მას ჩამოშორდა ყველა „სასიცოცხლო ძალები“ და მის წინააღმდეგ ყველა სოციალისტურმა პარტიებმა ბრძოლის დროშა აღმართა.

ამ ბრძოლაში ერთი მოწინავე პოზიციათაგანი ეჭირა მემარჯვენე ესერებს. ძნელი დასაჯერი იყო, რომ პარტია, რომელიც შეიარაღებულ ომს ქადაგებდა ბოლშევიზმის წინააღმდეგ, პარტია, რომელიც ბოლშევიზმის გაძლიერება-გაბატონებაში ხედავდა რევოლიუციის დაღუპვის უმთავრეს დამნაშავეს— მის წინაშე მუხლს მოიყრიდა, ბრძოლაზე ხელს აიღებდა და მასთან საერთო ენას გამონახავდა.

სამწუხაროთ, გაზეთების ცნობა გამართლდა და ესერების დესპანი უკვე გაემგზავრა უფიდან მოსკოვში. დღეიდან ესერები და ბოლშევიკები ერთად იმოქმედებენ; დღეიდან ესერების პარტია კისრულობს მორალურ და იურიდიულ პასუხისგებას ყველა იმ დანაშაულში, რომელიც ჩაიდინა ბოლშევიზმმა ქვეყნის და დემოკრატიის წინაშე.

ესერები, როგორც პარტია ინტელიგენციისა, პარტია დაყრდნობილი საზოგადოების ამ მერყევ ძალაზე, ცხადია, დიდხანს ვერ შეინარჩუნებდა თავის პოზიციას. მისი საფუძველი მუდამ ქანაობს. დღეს მემარცხენეა, ხვალ—მემარჯვენე. დღეს იბრძვის, ხვალ—მოწინააღმდეგეს უერთდება. ასეთია ის კლასი, რომელსაც ის ეყრდნობა და ასეთი უნდა იყოს ამ კლასის იდეოლოგიაც. მათი ტაქტიკა,—მათი სამოქმედო ხაზი მუდამ შეფარდებული იყო ამ კლასის სულიერ განწყობილებასთან და რადგან ეს სულიერი განწყობილება დაუდგრომელი და ცვალებადია—მათი ტაქტიკაც მუდამ მერყევი და ცვალებადია. გუშინ ის დაფრთხა ბოლშევიზმმა—მარჯვნით დაიხარა და კოლჩაკთან დადგა. დღეს დაშინა ადმირალმა კოლჩაკმა—ბოლშევიზმს შეეფარა.

ორი უკიდურესობა იბრძვის დღეს რუსეთში... ბოლშევიზმი და კოლჩაკი არსებითად ორივე რეაქციონერი. მათ შორის მომწყვდეული პარტიები დღეს აქეთაა, ხვალ—იქით. დემოკრატიას ვერ მოუნახავს საკუთარი ხაზი, ვერ მიუგნია საკუთარ ძალებისთვის. იგი სხვის ამყოლათ გადადარა და რუსეთის ტრაღედიაც სწორეთ ამაშია.

ძლიერდება ეს ორი უკიდურესობა და შედეგი მისი გაძლიერებისა არის შეუწყვეტელი ანარქია, რომელიც კიდევ დიდ ხანს დასტანჯავს გაპარტახებულ რუსეთს...

## პრესა

არჩევნებში ყველა პარტია აქებს თავის თავს. ყველა ცდილობს თავის საუკეთესო მხარეები გამოამზეუროს და ცუდი დამალოს. სოც.-ფედერალისტებსაც გამოუძებნიათ თავის უმთავრესი ღირსება.

თავის წერილში, „შეხრულებული მისია“ (№ 443) „სახალხო საქმე“ სწერს:

„სოციალდემოკრატიულმა პარტიამ სოციალ-ფედერალისტებთან ერთად ფრიად დიდი საქმე გააკეთა. პარლამენტში და პრაქტიკულ შემოქმედების ასპარეზზე ეს ორი პარტია ხელიხელ ჩაკიდებული იბრძოდა საქართველოს განთავისუფლებისათვის“.

ამრიგათ უმთავრესი დამსახურება ამ პარტიის გახლდა ის, რომ „ისიც ხნავდა“ სოც.-დემოკრატებთან ერთად. მაგრამ ამ ხვნაშიაც ვერ მოუხერხებიათ ბოლომდე გაყოლოდნენ სოც.-დემოკრატიას. როცა მთავარი საკითხი დადგა რევოლიუციისა, აგრარული, ეს „მხვნელნი“ დაუყონებლივ გაფრინდნენ იმ ხარის რქიდან, რომელიც თავისი მხარით ეზიდებოდა საქართველოს სახელმწიფოებრივობის მძიმე ტვირთს.

მაგრამ იცით რისთვის გაფრენილან ეს „მხვნელნი“?

მათ შეშინებიათ იმ გაზრდილი ნაბიჯის, რომელიც სოც.-დემოკრატიამ გადადგა აგრარულ საკითხში.

„სახ. გაზეთი“ ამიტომ თავის სანუგეშებლათ მოყოლია მეტათ საეჭვო წინასწარმეტყველებას. იგი სწერს:

„პარლამენტმა შეასრულა თავისი უმთავრესი მისია. მაგრამ ქართველი ხალხისათვის უფრო საყურადღებო შემდეგი გარემოებაა: პარლამენტთან ერთად თავისი მისია შეასრულა და არსებითად თავისი დრო მოიჭამეს სოციალ-დემოკრატებმაც. საქართველოს ახალი ცხოვრება უეჭველათ შეიქმნება სოც.-დემოკრატიის გარეშე...

„მომავალი ბრძოლა დამფუძნებელ კრებაში ნამდვილი დასაწყისი იქნება სოციალ-დემოკრატიულ პარტიის არსებობის დასასრულისა. საქართველოს პარლამენტში ნახევრად გაიძლევა ამ სანამდვილოდ, სოციალ-დემოკრატიას აღარ აბადია არავითარი აზრი ახალ ცხოვრების შესაფერისი“.

ავტორი დაუფიქრებია იმას, რომ სოციალ-

## დღეს

ინგლისის მისიის უფროსმა განუცხადა საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგს, რომ სოჩის ოლქში მოხალისეთა ჯარის მიერ საქართველოს წინააღმდეგ მტრული მოქმედება იქნება იმავე დროს მტრული ნაბიჯი ამ ჯარის მიერ გადადგმული მოკავშირეთა სახელმწიფოების წინააღმდეგ.

— —

ტყიბულის ქვა-ნახშირის მაღაროებში მუშაობა განახლდა.

— —

ბერლინში დაასაფლავეს კარლ-ლიბკნეხტი და სპარტაკელთა აჯანყების 28 მსხვერპლი.

— —

ინგლისის მთავრობამ გადასწყვიტა ჯარი იყოლიოს ნამარ ფრონტზე მთელი 1919 წლის განმავლობაში.

— —

გერმანული პრესის ცნობით დროებითი ზავის კომისიის სხდომაზე მოკავშირეებს მოუთხოვიათ გერმანიისგან, რათა რუსი სამხედრო ტყვეების გადაგზავნა რუსეთში შეეწყვიტათ. გერმანიის წარმომადგენლებს ამის გამო პროტესტი განუცხადებიათ

— —

მონარქიული მოძრაობა პორტუგალიაში ჩაქრობილ იქნა.

---

დემოკრატიამ ბევრი გააკეთა, ბევრი რამ განახორციელა და ჰგონია, მეტი გასაკეთებელი აღარ დარჩათო.

საბრალო ავტორი! მას დავიწყებია, რომ ევროპის წინ წასულმა ცხოვრებამაც კი ჯერ არა თუ ვერ მოჰამა სოციალ დემოკრატია, არამედ დღეს მიდის მისი გაბატონებისაკენ. და თუ იქ იგი დრომოჭმული არაა, ჩვენში მით უმეტეს არ იქნება. სოც.-ფედერალის ტფილისთანა შუათანა ჯგუფებმა ამ 70—80 წლის წინეთ მოიჭამეს თავისი დრო და გაჰქრენ. დღეს ჩვენში ესევე ემართება სოც.-ფედერალისტებს. ისინი უკვე ჰქრებიან არჩევნების პირველ დღეებიდანვე. ეს ფაქტია. ხოლო სოც. დემოკრატიის ჯერ შემოქმედების თოფის წამალი არ შემოლევია, არც შემოელევა თვით სოციალიზმის განხორციელებამდე.

მაშ რამ დააწყებინათ ასეთ კილოზე წერა?

მკითხველი ადვილათ მიხვდება, ასეთ აბდა უბდას წარმოშობის ნამდვილ წყაროს, თუ ხელმოწერას წაიკითხავს ზემო აღნიშნულ წერილის ქვეშ: იქ აწერია: თედო ღლონტი.

* * *

**Кукушка хвалитъ пѣтуха.** ასე იქცევა გაზეთი „შრომა“.

„სოც. რევ. სახელით ლაპარაკობს ამხ. ლ. შენგელაია. ის მეტად დალაგებით, მწყობრათ ლაპარაკობს. მისი ყოველი სიტყვა თავის ადგილას იყო. ამ დღეს ლ. შენგელაია პირდაპირ შეუდარებელი იყო. მისმა რკინისებურმა ლოღიკამ სოც.-დემოკრატები თავის სკამებზე პირდაპირ ააკვანწალა. ყოველი მისი სიტყვა სოც.-დემ. გულში ჩაცემული ლახვარი იყო“.

უნდა მოვახსენოთ პატივცემულ რედაქციას, რომ სოც. დემოკრატიულ ფრაქციის ყველა წევრები სრულიად ჯანსაღათ გრძნობენ თავს და ამ ლახვარის შესახებ დღემდე არავითარი ცნობა არ მიუღიათ.

## უტიფარნი

რენეგატები ყოველთვის საზიზღარნი იყვნენ.

მათი სიტყვა შხამია, აზრი ბოროტებით სავსე, გული ზიზღით. და ამ თავის შინაარსს იგინი გაავთირებული ანთხევენ იმათ წინააღმდეგ, ვისაც გამოეთიშნენ:

აი ამის ერთი ნიმუში გაზეთ „მშაკიდან“ (№ 10), რომელსაც ა. ზურაბოვი ხელმძღვანელობს...

„საქართველოს მთავრობის და მაშასადამე, ქართველ სოციალ-დემოკრატიის მთელი პოლიტიკა შეიძლება დავახასიათოთ ორი სიტყვით—ნაციონალისტური ბალშევიზმით.

„მიუხედავათ ამ ორ მიმდინარეობის იდეიურ წინააღმდეგობისა, მიუხედავათ იმისა, რომ ბალშევიზმი მიმდინარეობს თავისი საზოგადოებრივ პოლიტიკური რწმენით, თავისი მისწრაფებებით ახალი სოციალურისტური საზოგადოებრივი წესწყობილების განსახორციელებლათ—არის აგრესიული მოვლენა. პირიქით, ქართველი მთავრობის ნაციონალური ვიწრო მაქსიმალიზმი არის ყველაზე ცუდი რეაქციონური მოვლენა.

„ორივე მიმდინარეობის განხორციელების ფორმები ძალიან ჰგვანან ერთმანეთს და ქართველი სოც.-დემ., რომლის ხელშია მთავრობის საჭე, სამაგალითოდ აქოლია ბალშევიკურ ტაქტიკის ყველაზე ცუდი მეთოდები და ფორმები თავისი ვიწრო შოვინისტური შხამიანი საქმის ასასრულებლათ.

„იმ დროს, როცა ბალშევიზმის საერთო ტაქტიკა თავისი მიუტოვებელი მეთოდებით კლასიური ხასიათისა და ზევრჯერ მშრომელ კლასის დაბალი ინსტიკტების მოსანადირებლათ არ ერიდება არც ერთ მიუტოვებელ საშვალებას, ქართველი სოციალ პატრიოტები თავიანთი შოვინისტური საქმის გასაკეთებლათ ფეხქვეშ სთელავენ ყველა ელემენტარულ დემოკრატიულ შემეცნებებს, ამათ ერთნაირი ნაბიჯები გაუხდიათ თავიანთი ტაქტიკის ქვაკუთხედათ. ფაქტები რამდენიც გნებავდეთ: ყოველი პარტია, როცა მთავრობის სათავეში სდგება, ცდილობს შექმნას განსაზღვრული უხეში ძალა, რომ დაეყრდნოს მასზედ და მითი თავისი ნება უკარნახოს. „სოვდეპიაში“ ამ ძალას შეადგენენ წითელარმიელები, რომლებსაც მიეტოვება ყველაფერი. ამათ შეუძლიათ უსაბუთოდ შეურაცყონ ყველა მშრომელი კაცი, დაუსჯელად შეუძლიანთ ყველა ბურჟუას გახადონ პალტო, გაცარცვონ, შევიდნენ სახლებში, და ეს ყველა ხდება „კლასიურ ნიადაგზე“.

„აქ, საქართველოში, ქართველ სოციალ პატრიოტების ძალას შეადგენს საგანგებო რაზმი, მილიცია და „კრასნო გვარდეიცები“. ამათაც ეპატიებათ ბევრი რამ, ამათაც შეუძლიანთ დაუსჯელად მოიმოქმედონ ყველანაირი დაუშვებელი საქმეები, ეს ყველა შესაძლებელია მხოლოდ არა ქართველების მიმართ. ამისთვის არსებობენ სომხები, რუსები, თათრები; აქ ყველა უკანონო მოქმედებები ხდება ნაციონალურ ნიადაგზე. ბრძოლას აქ აწარმოებენ უცხო ტომის ხალხთან. შექმნილია ვიწრო საზღვრებში ქართული უალრესი „ველიკოდერჟავობა“, სადაც ყველას ზევიდან დასქერიან და მასთან ეპყრობიან უფრო ცუდათ, ვიდრე ეპყრობოდენ მეფის „ოპრიჩნიკები.

„მაგალითებს არ მოვიყვანთ, ვინაიდან ეს ამაო შრომა იქნება. ჯერ გუშინ მომხდარი სასირცხვილო ფაქტები თფილისის ქუჩებში თავიანთი გასაშტერებელი საზიზღრობით, დალეთ ხანში, ბოლნის ხაჩინში, შულავერში და საერთოდ ბორჩალოში მომხდარი შემთხვევები ჩვენ წინ სდგებიან, როგორც ამგვარი ტაქტიკის დამამტკიცებელნი.

„სოვდეპიაში“ ბევრჯერ არ ანსხვავებენ იმ ელემენტებს, რომლებიც ბალშევიკებს ემსახურებიან; მათში იპოვით უწინდელ ჟანდარმსაც, პოლიციელსაც და ჯაშუშსაც, რომლებიც ასრულებენ მეფის მთავრობის ნებას.

„საქართველოში შეხვდებით სწორეთ ასეთ სურათებს, მხოლოდ ნაციონალურ ნიადაგზე. გაშინჯეთ საგანგებო რაზმის შემადგენლობა და იპოვით ადრინდელ პოლიციელებს.

„საოცარი ის არის, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა რამიშვილმა რევოლიუციის პირველ დღეებში არ მოისურვა პოლიციელების გაგზავნა მეტეხის ციხეში, ამას თვლიდა საშიშათოდ რევოლიუციისთვის, ეხლა კი ამ პოლიციელებით გაუძლიერებია თავის აგენტები და ბუნებრივია ის ენერგია, რომელსაც იჩენენ უკანასკნელები ახლანდელ მთავრობისადმი, იმიტომ, რომ ძალიან კარგათ გრძნობენ თავიანთ თავს.

„ნაციონალისტური მაქსიმალიზმი ჩაუნერგავთ ქართველ სოციალ პატრიოტებს უალრესად კარგათ აგრეთვე მშრომელ ხალხის რაზმებში და ის პოლიტიკა, რომელსაც აწარმოებს ჟორდანიას მთავრობა მშრომელ წრეებში, ყველაზე უფრო ტიპიური გამოხატულებაა ნაციონალურ შხამიან მაქსიმალიზმისა. თავიანთ რეაქციონურ საქმის ასრულების დროს ქართველი სოციალდემოკრატები, რასაკვირველია, ისწრაფვიან მიიპოვონ არა თუ მთელი მშრომელი კლასის, მისი ერთი ნაწილის თანაგრძნობა მაინც. და აი, ნაციონალიზაციის სახელით კეთდება ერთი შავი საქმე, რომელიც ორმოს თხრის მშრომელ ხალხის შორის. ხორციელდება ახალი ფორმის „ზუბატოვშჩინა“, რომელსაც შეიძლება დავარქვათ ნაციონალისტური „ზუბატოვშჩინა“; მშრომელ ხალხში ითესება შუღლის ღვარძლი. იქმნება პრივილეგიური მდგომარეობა ქართველ მუშებისთვის და ყველა ალაგიდან აგდებენ სომხებს, რუსებს, თათრებს და საზოგადოთ უცხოელებს; ქართველი პირველი ხარისხის მუშები გაუხდიათ სახელმწიფოს „ჩინოვნიკებათ“ და დანარჩენებისთვის შეუქმნიათ პრივილეგიური მდგომარეობა უცხოელების გაძევებით; აი ის ძირითადი საბაბი, რომელიც შეძლებას აძლევს სოციალდემოკრატიას თავის გავლენა მოახვიოს ქართველ მშრომელ კლასს. ქართველი მუშა (მშრომელი) დროებით მადლობელია თავისი პრივილეგიური მდგომარეობით, განზე გადაუდვია კლასიური, პოლიტიკური ბრძოლა და გატაცებულია ნაციონალისტურ მაქსიმალიზმით. ეს სამწუხარო მდგომარეობაა მშრომელი ხალხის კლასიური ინტერესების თვალსაზრისით, მაგრამ ქართველი სოციალდემოკრატია უკვე ძირითადათ დაშორებულია კლასიური ბრძოლის ნიადაგიდან და შეგნებულათ მიათრევს მშრომელ ხალხს მოწამლულ ჰავერისკენ.

„ჯერ გუშინ იყო, რომ, როცა დაითხოვდენ რომელიმე მუშას უსამართლოდ, მთელი მუშა კლასი ფეხზე დგებოდა, თავის სამართლიან ხმას ამოიღებდა და აღდგებოდა ფეხქვეშ გათელილი უფლებანი, მაგრამ დღეს აგდებენ სომხებს, რუს მუშებს ასობით, მაგრამ არავინაც ხმას არ იღებს.

„ქართველი სოციალ დემოკრატია გატაცებულია ნაციონალისტური მაქსიმალიზმით და ამნაირ პსიხოზის ქვეშ ჩაუგდია ქართველ მუშა ხალხის ერთი ნაწილი. დიახ, ჟორდანიას მთავრობა აწარმოებს მუშებში ამ რეაქციონურ პოლიტიკას, რომლის საფუძველია „გათიშე და იბატონე“, და ეგ პოლიტიკა იძლევა თავისი სამწუხარო ნაყოფებს.

„ეს ყველა ხდება დღეს, მაგრამ ხვალ მოვა ანგარიშის მიცემის დრო, მუშა ხალხი გამოვა დღევანდელ პსიხოზიდან და გააძევებს თავის წრიდან არა თუ რენეგატ პირებს, არამედ—მუხანათ პარტიას, რომლის სახელია ქართველი სოციალ დემოკრატია“.

ამით უმასპინძლდებიან ა. ზურაბოვები სომხის მკითხველს. მკითხველმა თვით დააფასოს, რა ბუნების პატრონი უნდა იყოს ამის დამწერი, რა გახრწნილებით უნდა იყოს შეპყრობილი, რომ არა თუ პარტია, არამედ—თვით მთელი ერის მუშებიც კი ასეთნაირათ მოიხსენიოს...

## გახსოვდეთ ამხანაგებო და მოქალაქენო! გახსოვდეთ

რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია არჩევნებში № 1 გამოდის. ხმა მიეცით № 1.

ჩვენი საარჩევნო ბიულეტენი.

# №1

ხმას ვაძლევ

საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის სიას

Голосую за списокъ Соціалъ-Демократической Рабочей Партіи Грузіи

Ձայն էմ տալիս Վրաստանի Սոցիալ-Դեմոկրատական Բանւորական Կուսակցութեան ցուցակին

کورجستان اجتماعیون عامیون فعله فرقه‌سی

## ვინ ავირჩიოთ?

არჩევნების დღეები ახლოვდება. პარტიები ირაზმებიან.

„მოქალაქენო! ერთად ერთი დამცველი სამართლიანობის, მოქალაქეობრივი უფლებების და კერძო საკუთრების, ეს ჩვენი პარტიაა, ხმა მიეცით № 2 ს“ აცხადებენ ნაციონალ-დემოკრატები.

„ვისაც უნდა მიწა და თავისუფლება ხმა მიეცით № 3-ს“—ამბობენ სოც.-რევოლიუციონერები.

„ვისაც უნდა ქვეყნათ ბედნიერება დამყარდეს, სამშობლო გაბედნიერდეს და აყვავდეს, ის ხმას მისცემს № 5 ს“ აცხადებენ სოც.-ფედერალისტები და ასე ბოლომდე.

თუ სიტყვებს და დაპირებებს რამე დაეჯერება, ყველა პარტიები ერთი-მეორეზე უკეთესი ყოფილა, იტყვის გულუბრყვილო მოქალაქე, რომელიც საქმით კარგათ არ იცნობს ამ სხვადასხვა პარტიების ნამოქმედარს, მათ ნამუშევარს, მათ წარსულს.

მარა ვის მისცემს ხმას საქართველოს შეგნებული დემოკრატიის დიდი უმრავლესობა, ვის მიანდობს მის ბედს და იღბალს, მისი ინტერესების დაცვას, თუ არა დიდიხნის ცნობილს, მის ჭეშმარიტს მეგობარს სოც.-დემოკრატიას!

ვინ აუხილა მას თვალი, ვინ შეაგნებია მტერ მოყვარე, ვინ ედგა გვერდში შავბნელ რეაქციის დროს, ჭირში და ლხინში თუ არა სოც.-დემოკრატია!

ვინ იცავდა მშრომელი კლასის ინტერესებს ფაბრიკა-ზავოდებში, ვინ გადაუდგა წინ მემამულეებს, ვინ ებრძოდა რუსეთის დესპოტიზმს, როგორც სახელმწიფო სათათბიროში ისე ყველგან, თუ არა ს.-დემოკრატია!

ვინ იგემა ამ ბრძოლისთვის ნესტიან ციხეებში ბორკილებით წამება, ცივ ქვეყნებში გადასახლება, ტანჯვა, წამება თუ არა სოც.-დემოკრატიამ!

ვის გაყვება ხალხი? რომელი პარტია გაიმარჯვებს? განა ეს საკითხავია?!

რომელმა პარტიამ გადაარჩინა საქართველო დაღუპვას? ვინ გამოიყვანა ის საშინელი ცეცხლის ალიდან, თუ არა სოც.-დემოკრატების წინდახედულმა, გონივრულმა ტაქტიკამ?

ვინ, რომელი უგუნური მოქალაქე იქნება ის, ჩვენს სიამაყე, შორს მჭვრეტელ ნოე ჟორდანიას და მის ამხანაგებს შავი მისცეს, ხოლო რეზო გაბაშვილები გაათეთროს?! რა ჭკუის უნდა იყოს ამრჩეველი, რომ ქვეყნის ბედ-იღბალი ამათ პარტიას ჩაუგდოს ხელში და ჩხეიძე წერეთლები დაიწუნოს, გააშაოს?

რომელი მეომარი ქვეყნები არ გაანადგურა საშინელმა რეაქციამ და ბალშევიზმმა! რა ჯოჯოხეთი დატრიალდა და დღესაც რა ხდება რუსეთში? ჩვენში კი შედარებით სამოთხეა. მერე, ვის მიუძღვის ამაში ყველაზე მეტი ღვაწლი და შრომა, თუ არა სოციალდემოკრატიას? ვისი წინდახედული მოსაზრებით გათავდა ბრწყინვალე გამარჯვებით ასე მალე, ასე ცოტა მსხვერპლით სომხის დაშნაკელებთან ომი?

მაგრამ, რომელი ერთი უნდა ჩამოვთვალოთ. ან რასაჭიროა ჩამოთვლა, განა ჩვენმა დემოკრატიამ ყველა ეს არ იცის?

აბა ერთი გადაათვალიერეთ სოციალდემოკრატების დეპუტატების სია, ვინ ამშვენებს ამ სიას: ჟორდანია, ჯიბლაძე, წერეთელი, ჩხეიძე, რამიშვილები, ჩხენკელი, გეგეჭკორი, ხომერიკი, ჯუღელი, არსენიძე, ნინიძე, გიორგაძე და სხვანი, ყველა ცნობილი მოღვაწეები და ხალხისათვის თავდადებულნი, ძველი რეჟიმის მიერ ნაწამები გმირები, რომლებმაც თავიდანვე მიზნათ დაისახეს დაჩაგრული ხალხის სამსახური და დღესაც დაუღალავი შრომით, მთელი ენერგიით დაუსვენებლათ მუშაობენ მტკიცე დემოკრატიული სახელმწიფოს შესაქმნელათ, რომ მისი საშუალებით გზა გაიკაფონ ისეთი სახელმწიფოს შესაქმნელათ, სადაც არ იქნება დაჩაგრულები და დამჩაგრელები, ბედნიერნი და უბედურნი, დამყარდება თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა-ერთობა.

სოციალდემოკრატების მთელი სია ასეთი ჭეშმარიტი მუშაკებით არის სავსე და ამიტომ, რა თქმა უნდა, ყველა გონიერი ამრჩეველი ამ სიას მისცემს ხმას და მით ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის აღორძინებას.

ვინ არ მისცემს ხმას ჩვენს პარტიას?—უკმაყოფილო მემამულეები, რომლებსაც მამულები ჩამოართვა სოც.-დემოკრატიამ და ხალხს გადასცა. არ მისცემს ბურჟუაზია, რომლებსაც ზიანი მიაყენა ჩვენმა პარტიამ რვა საათის სამუშაო დღის შემოღებით, შემოსავლის კვალობაზე გადასახადის შემოღებით და მით განუსაზღვრელი მადა მდიდრების ცოტათი ალაგმა. არ მისცემს ხმას სამღვდელოება, რადგანაც სოც. დემოკრატიამ, მათ ქადაგებას ცხონებისა და საკურთხის შესახებ ხელი შეუშალა, საიქიოს ბედნიერებას ამ ქვეყნიური ბედნიერება არჩია. დიახ, ესენი არ მისცემენ ხმას ჩვენს პარტიას, მაგრამ სამაგიეროთ დანარჩენები, ყველა ჭეშმარიტი მოქალაქენი ადვილათ გაარჩევენ თეთრს შავისაგან და საარჩევნო ყუთთან შეგნებულათ მივლენ და ხმას მისცემენ პირველ ნომერს.

ხილია.

**მოქალაქენო!**

სოციალდემოკრატიამ იხსნა საქართველოს რესპუბლიკა ანარქიისაგან.

ხმა მიეცით სოციალდემოკრატიის სიას № 1.

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

**29 იანვარი.**

### ინგლისური პრესის ცნობები.

ინგლისის და შეერთებულ შტატების ურთიერთობის შესახებ ბალფურმა სთქვა, რომ მას ღრმათ სწამს ამ ქვეყნების მეგობრობა, მაგრამ მას არ აკმაყოფილებს ეს და უფრო მეტი სურს. სახელდობრ: რომ, როგორც ინგლისის მოქალაქემ, ისე დიდი ამერიკის მოქალაქემ იცნოს თავისი თავი კულტურის და იმ პრინციპების მცველათ, რომლისთვისაც ჩვენ ყველანი ვიბრძოდით უკანასკნელ წუთამდე. ეს უნდა მოხდეს, ეს მოხდება. და მოხდება ისიც, რომ ყველა პატარა და შევიწროვებული ერი ინსტიქტიურათ იგრძნობს, რომ მას იცავს საერთაშორისო ვალდებულება.

ადმ. ბიტიმ შაბათს განაცხადა, რომ დიდ ფლოტს დაითხოვენ. იტალიაში მყოფი ინგლისის ჯარი შეუერთდა ავსტრიაში მყოფ მოკავშირეთა საოკუპაციო ჯარს. ინგლისის ჯარი ამიერ კავკასიაში, ალბათ რამდენიმე თვე დარჩება. იმედი აქვთ, რომ პალესტინაში მყოფ ჯარს შეამცირებენ. შეიძლება 4 დივიზიის გაყვანა ეგვიპტედან, თუ მათ გადასაყვანათ გემები იქნა. საოკუპაციო ჯარი რამოდენიმე ხნით საჭირო იქნება მესოპოტამიაში. ამ ჯარში მხოლოდ ინდოელნი იქნებიან. ფიქრობენ ზაფხულამდე გაიყვანონ ინგლისის ჯარის დიდი ნაწილი, თუ იქნა თავისუფალი გემები.

ოფიციალურად იუწყებიან, რომ საოკუპაციო ჯარის ჯამაგირის და ხარჯის შესახებ, მთავრობამ გადასწყვიტა დაუყოვნებლივ, რაც შეიძლება გაუმჯობესოს საოკუპაციო ჯარის შენახვა და მოუმატოს ჯამაგირი. მთავრობამ დაადგინა მთელი 1919 წლის განმავლობაში იყოლიოს ჯარი მთელ ნამარ ფრონტზე, იმ მოსაზრებით, რომ არ დაკარგონ ომის ნაყოფი. ინგლისის მთავარი ვალდებულებაა შეინარჩუნოს ინდოეთის იმპერია და ოლქები შუა აღმოსავლეთში. ამ ჯარში დისციპლინა მტკიცე უნდა იყოს და ძალას უნდა წარმოადგენდეს ინგლისის ინტერესების დასაცავად, ჩვეულებრივ მშვიდობიან დროის პირობების დამყარებამდე, როდესაც შესაძლებელი იქნება მოხალისეთაგან ჯარის შედგენა. ახლანდელი ჯარის დანარჩენი ნაწილი კი რაც შეიძლება მალე იქნება დათხოვილი.

მანუელი ჯერ ისევ ლონდონში იყოფება და არც აპირებს პორტუგალიაში წასვლას. პორტუგალიის მთავრობა გადადგა, მაგრამ ახალი კაბინეტის შედგენამდე მუშაობას განაგრძობს. როგორც ეტყობა მონარქიული მოძრაობა ლისაბონში ჩააქრეს. ახლა მთავრობა სცდილობს, რაც შეიძლება ნაკლები მსხვერპლით ჩააქროს იგი ოპორტოში.

### გერმანული პრესის ცნობები.

მთელი დასავლეთის არმია მიიყვანეს იმ ადგილებში, სადაც დემობილიზაცია უნდა მოახდინონ. აღმოსავლეთის არმია 600,000 კაცისაგან შესდგებოდა. აქედან 500,000 სადემობილიზაციო პუნქტებში გაგზავნა. ოსმალეთში მყოფი გერმანიის ჯარი, გარდა 100,000 კაცისა, თავის ნაწილებში დაბრუნდა. დემობილიზაცია სისტემატიურათ სწარმოებს, იანვრის 18 სამშობლო ტერიტორიის გარეშე იყო სულ 130000 ჯარისკაცი. ამაში შედის ოსმალეთში დარჩენილი ჯარიც. თუ რაიმე მოულოდნელი დაბრკოლება არ აღმოჩნდა, ეს ჯარი სადემობილიზაციო პუნქტებში დაახლოვებით თებერვლის მეორე ნახევარში მივა. დროებითი ზავის კომისიის სხდომაზე იანვრის 25 ქ. სპააში.

მოკავშირეებმა მოსთხოვეს გერმანიას, რომ შეაჩეროს რუსეთში სამხედრო ტყვეების გზავნა, რასაც იმით ასაბუთებენ, რომ ტყვეებს რუსეთში მხოლოდ რუსეთის გასაძლიერებლად გზავნიანო. ამის გამო გერმანიის კომისიამ პროტესტი განაცხადა და განსაკუთრებით აღნიშნა, რომ ტყვეების გაგზავნის შეწყვეტა მათ შორის ამბოხებას გამოიწვევს, რადგანაც ისინი დიდიხანია მოელოდნენ სამ-

## პარტიის წევრთა სავალდებულო მობილიზაცია

თანახმად თფილისის კომიტეტის და ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილებისა, კვირას, 2 თებერვალს ქალაქის საბჭოს არჩევნების დღეს პარტიის წევრნი ვალდებულნი არიან ფეხზე იდგენ და აქტიურათ ეხმარებოდენ პარტიას. ამ მიზნით პარტიულ რაიონებში შაბათს 1 თებერვალს საღამოს 4 საათიდან ინიშნება პარტიის წევრთა საერთო კრებები. ყველა პარტიის წევრი ვალდებულია გამოცხადდეს თავიანთ კოლექტივის ბინაზე სამუშაო დირექტივების მისაღებათ. (3—1)

შობლოში დაბრუნებას. ამ ჟამათ გერმანია მზათ არის ტყვეები ზღვით გაგზავნოს, რის წინადადებაც გერმანიამ რამოდენიმე თვის წინათ წამოაყენა. გერმანიის ფედერალურმა მთავრობამ არ უნდა დაუშვას, რომ იძულებული გახდეს აასრულოს ისეთი მოთხოვნილება, როგორიცაა რუსის სამხედრო ტყვეების გზავნის შეჩერება. გერმანიის დროებითი ზავის კომისიამ ამის შემდეგ გაგზავნა რამოდენიმე საპროტესტო ნოტა საარბრიუკენში ამერიკელ სარდლის ბრძანების გამო, რომელმაც აკრძალა გადაკეთებულ სამხედრო ტანისამოსის ტარება, და შემდეგ მაინის ფრანკფურტში ფრანგ ჯარისკაცთა ექსცესებზე, რომელნიც აჩერებენ გამვლელთ, ეპყრობოდნენ უდიერათ, ურტყამდნენ და თოფიდან ესროდნენ მშვიდობიან მოქალაქეთ. შეუბრალებლათ ურტყამდნენ კონდახებს ყოფილ გერმანელ ჯარისკაცთ. პროტესტი განაცხადეს აგრეთვე ინგლისის აფიცრების მოქმედებაზე საკონცენტრაციო ბანაკებში, ბელგიელების მიერ დიუსელდორფში საქონლის რეკვიზიციაზე და ბრიტანიის ჯარისკაცებზე, რომელნიც 8 იანვარს ბიუნში თავს დაესხნენ მაღაროს დირექტორს და მძიმეთ დასჭრეს.

ბოლშევიკების ჯარისაგან ესტონიის განთავისუფლების შემდეგ გამოირკვა, რომ წითელი არმიელები დიდ უწესოებას ახდენდნენ დაპყრობილ ადგილებში თავის მოკლე ხნის ბატონობის დროს. დორპატში 300 ბურჟუა მოკლეს. იმავე ოლქში მოკლეს კიდევ 300.

როგორც გაზეთები იუწყებიან არავითარი გადაწყვეტილება არ არის გამოტანილი გენერალ ფონვინტერფილდის გადადგომის შესახებ.

პრუსიის საკონსტიტუციო ყრილობის არჩევნები 26 იანვარს მოხდა. გერმანიის ნაციონალურ ყრილობის არჩევნების შემდეგ პოლიტიკური ინტერესი საგრძნობლათ დაეცა. არჩევნების შედეგის შესახებ ჯერ ცნობები არაა.

**ბოლშევიკების ცნობები.**

**მოსკოვი.** იანვრის 27. **პარიზი.** იანვრის 18. ბრიუსელიდან იუწყებიან, რომ ბელგიის სოციალისტურ პარტიის გამგეობა პროფესიონალურ კავშირების წარმომადგენლების, საფრანგეთის შრომის კონფედერაციის დეპუტატებთან რეპოლდელთან და მიტრალელთან და ჰოლანდიის სოციალისტ ზანკოლემთან ერთად ინტერნაციონალურ სოციალისტურ კონფერენციის მოწვევაზე მსჯელობას განაგრძობს. ორშაბათს ამ საკითხს ხელმეორეთ განიხილავენ ფრანგ დელეგატების თანდასწრებით. **კარნაფონი.** იანვრის 22. ფიქრობენ რომ ახალი გერმანია 8 რესპუბლიკ. შესდგება, რომელნიც ერთად შეადგენენ გაერთიანებულ ფედერატიულ რესპუბლიკას. რესპუბლიკაში შევა ავსტრიის გერმანიაც. საზავო კონფერენცია რთულ საკითხათ სთვლის ირის საკითხს და განზრახული აქვს აირიოს კომისია ადგილობრივ პირობების შესასწავლად. **ბერლინი.** 21 იანვარი. „ტაიმსი“ წერს ინგლისის მუშათა საკითხის გარშემო. მუშათა კლასის მიზანია სოციალისტური ერთველობა. უკანასკნელ თვეებში ტრედუნიონისტებმა მიაღწიეს თავის მიზანს და ცხოვრებაში გაატარებიეს დიდი რეფორმები, ჯინის სამრეწველოებში 8 საათის სამუშაო დღის მოთხოვნილება დაკმაყოფილებული იქნა. **ვაუენი.** იანვრის 26. 25 იანვარს დაასაფლავეს ლიბკნეხტი და სპარტაკელთა აჯანყების 28 მსხვერპლი. მთავრობამ ხალხს შეკრებების ნება არ მისცა. ხალხი გაემართა ბიულოვის მოედნისკენ. აქ მათ შეხვდა დეპუტაციები გვირგვინებით. ქალმა კომუნისტმა რუბენმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც განაცხადა, რომ დადგება დრო, როცა ძალა-უფლება კომუნისტების ხელში გადავა. ხალხი გაემართა ფრიდრიხსფელდისკენ, სადაც მოხდა დაკრძალვა. **ბერლინი.** იანვრის 24. გეჯასის შეიხი წინადადებას აძლევს საზავო კონფერენციას გააერთიანოს მთელი არაბეთი, მეწამულ ზღვიდან სპარსეთის ყურამდე, რომელიც ოსმალეთისაგან დამოუკიდებელი და შეერთებულ შტატების პროტექტორატი ქვეშ იქნება. „ფორვერტს“-ში დაბეჭდილია ლოიდ ჯორჯის მიერ საზავო კონფერენციაზე რუსეთის შესახებ წარმოთქმული სიტყვები. ლოიდ ჯორჯმა განაცხადა, რომ მოკავშირეთა გალაშქრება რუსეთზე ფართო მასშტაბით შეუძლებელია. მცირე მასშტაბით გალაშქრებას და ეკონომიურ ძალდატანებას მნიშვნელობა არ ექნება. ის წინადადებას აძლევს საზავო კონფერენციაზე მოიწვიონ ბოლშევიკები და მოუსმინონ მათ. ფრანგული გაზეთები იუწყებიან, რომ იანვრის 24 დაიწყება ჟორესის მკვლელის ვილენის საქმის გარჩევა. ბერლინის გაზეთები სწერენ, რომ დროებითი ზავის გერმანიის კომისიის წევრის ვინტერფელდის გადადგომა ნიშნავს სასტიკ პროტესტს საფრანგეთის მიერ უსაბუთოდ დროებითი ზავის პირობების დარღვევის წინააღმდეგ.

მოქალაქენო! რუსეთის ყოფილი იმპერიის ყველა კუთხიდან აქეთკენ მოიშურებიან დევნილები. მათ იციან, რომ აქ მათი ქონება და პიროვნება ხელშეუხებელია. აქ სრული რევოლიუციონური წესრიგი სუფევს.

ეს სოციალდემოკრატიის საქმეა.

ხმა მიეცით სიას № 1.

## საქართველოს პარლამენტი

**28 იანვრის სხდომა.**

თავმჯდომარეობს **ი. ბარათაშვილი.**

თანახმად რ. არსენიძეს და სამ. ფირცხალავას მოხსენებისა პარლამენტმა უკამათოდ მიიღო საბოლოვო ტექსტები: სახელმწიფო საადგილ-მამულო ფონდიდან მამულების კერძო საკუთრებათ მიცემის ; ყოფილ საუდელო, სახაზინო და სხვა მიწების კერძო საკუთრებათ აღიარებისა; ადმინისტრაციის და მილიციის თვითმართველობათა ხელში გადაცემის კანონი, საშუალო და პირველდაწყებითი უმაღლეს სასწავლებელთა მასწავლებელთა ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესობის კანონი და მარიამის საირიგაციო მამულის სახელმწიფოს საკუთრებათ აღიარებისა.

**დ. ონიაშვილის** მოხსენების თანახმად პარლამენტმა, მიწათ-მოქმედების სამინისტროს შტატის ხარჯთ-აღრიცხვა უკამათოთ მიიღო.

**ი. ფირცხელაიშვილის** მოხსენების თანახმად გაუქმდა სახელმწიფო მოხამსახურეთათვის საჩუქრების მიცემის კანონი.

**კანონი მომრიგებელ-მოსამართლეთა დაწესებულებათა ქვემდებარეობის გაფართოვებისა.**

**რ. არსენიძე.** ეს კანონ პროექტი დროებით წესებს ამყარებს მომრიგებელ-მოსამართლეთა დაწესებულებაში. ორნაირ მოსაზრებით ვხელმძღვანელობდით, როდესაც არსებულ კანონის ზოგიერთ მუხლებს ვცვლიდით. პირველი ის, რომ ფულის ფასმა დაიწია და საქონლის ღირებულებამ კი აიწია. თუ ძველი წესები დავტოვეთ, მაშინ ყოველივე უბრალო ნივთის ქურდის საქმეც საოლქო სასამართლოში უნდა გადავიდეს, რადგანაც წინანდელი უმნიშვნელო ნივთი ეხლა აშირად 300 მანეთზე მეტი ღირს. ეს შეეხება სისხლის სამართლის საქმეს. რაც შეეხება სამოქალაქო საქმეს, თუ სარჩელი არ აღემატებოდა 2 ათას მანეთს, მომრიგებელ მოსამართლე არჩევდა. საჭირო იყო ამ ნორმის გადიდება, რადგანაც ყოველივე უმნიშვნელო საქმეთა გარჩევა საოლქო სასამართლოს მოუხდებოდა. წინად მოქალაქეები კატეგორიებათ იყვნენ დაყოფილნი. ერთ და იგივე დანაშაულობის გამო სხვადასხვა სასამართლოს ექვემდებარებოდნენ. თუ უბრალო მოქალაქე ჩაიდენდა დანაშაულს (საქმეს მომრიგებელი მოსამართლე არჩევდა, თუ კი საქმე მოხელეს შეეხებოდა) საოლქო სასამართლოში გადადიოდა ყოველივე უმნიშვნელო საქმე, რაც დიდს სირთულეს ბადებდა. ჩვენი შემუშავებული დებულებით ყველა თანასწორად უნდა ექვემდებარებოდეს მომრიგებელ მოსამართლეთ, ყველა ის საქმეები, რომელიც კანონების ძალით ღირსების აყრას და შეზღუდვას არ გამოიწვევს უნდა გადაეცეს მომრიგებელ მოსამართლეთ. ამით ჩვენ მივაღწევთ სასამართლოს აპარატის სიმარტივეს და სისწრაფეს და აგრეთვე საშუალებას მოგვცემს საოლქო სასამართლოში ნაკლები მოსამართლენი ვიყოლიოთ, მხოლოდ საქმის მცოდნე და ღირსეული აღმსრულებელნი. თუ სარჩელი არ აღემატება 4 ათას მანეთს განურჩევლად პიროვნებისა, დაექვემდებარება მომრიგებელ მოსამართლეთ. თუ რატომ განვსაზღვრეთ 4 ათას მანეთით ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ გამოცდილი მომრიგებელ მოსამართლენი ნაკლებათ მოგვეპოვება. შემდეგ კი, როდესაც მომრიგებელ მოსამართლენი სათანადო მომზადებას მიიღებენ, შეგვიძლიან ოთხი ათასი მანეთი ავწიოთ ათი ათას მანეთამდე. მომხსენებელი კითხულობს სასჯელთა დებულების იმ მუხლებს, რომელიც შეცვლილ უნდა იყოს. პარლამენტმა კანონ-პროექტი უკამათოდ მიიღო.

თანახმათ დ. ონიაშვილის მოხსენებისა, პარლამენტმა მიიღო კანონი შინაგან სამინისტროსთან არსებულ საგანგებო რაზმის შტატები და ხარჯთ-აღრიცხვა 6 თვის ვადით.

**კანონ-პროექტი საგუბერნიო საადმინისტრაციო დაწესებულებათა გაუქმების შესახებ.**

**მ. რუხია** მოახსენებს პარლამენტს, რომ უნდა გაუქმდეს საქართველოს გუბერნიებათ დაყოფა და საგუბერნიო უწყებათა ლიკვიდაციის მოხდენა დაევალება შინაგან საქმეთა სამინისტროს.

კანონ პროექტი პარლამენტმა მიიღო.

პარლამენტმა მიიღო აგრეთვე პროექტი ათ მილიონიანი ფონდის აღდგენისა და აღჭურვა მთავრობა ბონების გამოცემის საემისიო უფლებით.

## ახალი ამბები

**მოხალისეთა ჯარი და საქართველო.** უკანასკნელ დღეებში მთავრობამ ცნობა მიიღო, რომ მოხალისეთა ჯარმა საგრძნობი ძალა დაავროვა სოჩის ოლქში. 28 იანვარს გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგმა კ. საბახტარიშვილმა და სამხედრო მინისტრის ამხანაგმა გენ. გედევანიშვილმა მიმართეს დიდი ბრიტანეთის მისიის შტაბის უფროსს. გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგის შეკითხვაზე,—შეუძლია თუ არა საქართველოს მთავრობას დარწმუნებული იყოს იმაში, რომ მოხალისეთა ჯარის მიერ სოჩის ოლქში დაკავებულ ხაზზე ჯარის დაგროვება არ იქნება გამოყენებული საქართველოს რესპუბლიკას წინააღმდეგ აგრესიულ მოქმედებისათვის, დიდი ბრიტანეთის მისიის შტაბის უფროსმა სთხოვა გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგს დარწმუნდეს და დაარწმუნოს საქართველოს მთავრობაც იმაში, რომ მოხალისეთა ჯარის მიერ ჯარის დაგროვება ტექნიკური მოსაზრებებით ხდება და მას მიზნათ არა აქვს რაიმე აგრესიული ნაბიჯები გადასდგას საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ, და თუ მოხალისეთა ჯარი ასეთ ნაბიჯებს გადასდგამს, დიდი ბრიტანეთის მისია ამას შეხვდება, როგორც მოკავშირეთა მიმართ მტრულ მოქმედებასო.

**გარეშე საქმეთა სამინისტრომ** განკარგულება მოახდინა, რათა სომხეთის პარლამენტის თავმჯდომარე სააკიანი დაუბრკოლებლივ გამოუშვან საქართველოში.

**საქართველოს რკინის გზის უფროსმა** აცნობა სხვადასხვა სამინისტროებს და ცენტრალურ დაწესებულებებს, რომ უკანასკნელ დროს გახშირდა ვაგონების უნებართვოთ გაგზავნა. ასეთი შემთხვევა შესაძლოთ ქმნის ბოროტ-მოქმედების გახშირებას. ასეთ არანორმალურ შემთხვევებში დამნაშავენი არიან, როგორც გზის აგენტები, ისე ცენტრალური დაწესებულებები, რომლებიც არ სცდილობენ თავის დროზე საბუთების დამზადებას და უნებართვოთ სარგებლობენ ვაგონებით. რკინის გზის უფროსმა მოახდინა განკარგულება, რომ ვაგონების გაგზავნის დროს დაცულ იქნეს ყოველი კანონები, არავის არ მიეცეს ვაგონები უსაფუძვლოდ ვინც უნდა მოითხოვოს ის. ვინც ამ განკარგულებას არ შეასრულებს სასტიკად იქნებიან დასჯილნი.

**ძეგვის ხიდის საქმე.** 28 იანვარს თფილისის სასამართლო პალატის საკასაციო დეპარტამენტში გაირჩა პოლკ. ლ. გ. შმაგაილოვისა და მ. კუჩარიანცის დამცველთა საკასაციო საჩივარი. თავმჯდომარეობდა სამოსამართლო პალატის თავმჯდომარე მღვდლიძე; წევრები: ა. გ. გელოვანი და კ. მ. შნეიდერი. ბრალმდებელათ იყო სამოსამართლო პალატის ბრალმდებელი ა. ს. გელეზაროვი. დამცველებათ გამოვიდნენ ნაფიცი მსაჯულები კ. დ. ზელენსკი და ა. ა. პაპოვნიანი. პალატამ ხანმოკლე თათბირის შემდეგ გამოიტანა რეზოლიუცია, რომლითაც საკასაციო საჩივარი უყურადღებოთ დასტოვა. დამცველებმა შუამდგომლობა აღძრეს მთავრობის თავმჯდომარის წინაშე სასჯელის პატიების შესახებ.

**ტყიბულის მაღაროებში** მუშაობა განახლდა.

**გემების მიღება.** გზათა სამინისტროს განკარგულებით ფოთში გაემგზავრა კომისია ინჟ. პეტრიაკოვსკის მეთაურობით გემების მისაღებათ.

† **გ. გედევანოვი.** 28 იანვარს, სახადით გარდაიცვალა ცნობილი არტისტი გედეონ მირალიანი (გედევანოვი).

**დუშეთის აჯანყების საქმე.** თფილისის სამოსამართლო პალატის ბრალმდებელმა იუსტიციის მინისტრს წარუდგინა მოხსენება დუშეთის მაზრაში აჯანყების გამოძიების მსვლელობის შესახებ. ამ დღეებში იუსტიციის მინისტრი წარუდგება მთავრობას მოხსენებით ამავე საქმის შესახებ.

**სამტრედიის რევოლიუციონურ ტრიბუნალის** ლიკვიდაცია დამთავრდა. ტრიბუნალის ყველა საქმეები გადაეცა ქუთაისის საოლქო სასამართლოს ბრალმდებელს.

**რკინის გზაზე.** 28 იანვარს გომსა და აგარას შუა ინგლისის საბარგო მატარებელი № 200 დაეჯახა ცარიელ ვაგონს, რომელიც იდგა გომიდან 190 ვერსზე. უკანასკნელი ძლიერ დაზიანდა; დაზიანებულია აგრეთვე № 200 ის შემადგენლობა. მატარებელში მყოფი ხალხი უვნებლათ დარჩნენ. გზაზე მიმოსვლა შეწყდა 7 საათით.

**სიღნაღის სამაზრო ერობამ** მომრიგებელ მოსამართლეებათ დანიშნა გურჯაანის უბანში ს. კლიმიაშვილი, ქოდალოში შ. ტატიშვილი, ლაგოდეხის უბანში ს. სარაჯიშვილი, ქვემო მაჩხანისაში ნ. გოცირიძე.

**მეორე რაიონის** მესამე კოლექტივი აუწყებს ამხანაგებს რომ ის იძლევა ყოველგვარ ახსნა განმარტებას ვინც საარჩევნო კონვერტები და შესავლელი ბარათები არ მიიღეს დაეხმარება მის მიღებას და სხვა ქვეკოლექტივის კიოსკი იმყოფება ჩერქეზოვის მოედანზე ნემეცების სასაფლაოს ახლოს.

**ერთობის უბნის მუშათა კლუბში დღეს,** 30 იანვარს, მოტოციკლეტ-ტყვიისმფრქვეველ რაზმთან არსებულ სცენის მოყვარეთა წარმოდგენილი იქნება ამავე რაზმის სამკითხველოს სასარგებლოდ „სიკვდილით დასჯა“ დრ. 3 მოქ. ს. ერთაწმინდელის, „კბილის ექიმთან“ ვოდ. 1 მოქ. ზ. გრეის.

**ლექცია.** დღეს, 30 იანვარს, საღამოს 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში, ნაძალადევის თეატრში დანიშნულია ლექცია: სერ. ქორქელიანისა „ქართული მწერლობის ისტორია“.

**მებაღეთა შორის.** 26 იანვარს შესდგა მებაღეთა კავშირის კრება. დაესწრნენ ვერელები, დიდუბიდან, ნაძალადევიდან და ორთაჭალიდან. გამგეობამ გააკეთა მოხსენება. შემდეგ დარიგდა არჩევნებისათვის უწყებები და კონვერტები. კრებამ სურვილი გამოსთქვა, რომ ყველამ პირველ ნომერს მისცენ ხმა უნდა მომზადებიყო არჩევნები, მაგრამ გადიდო შემდეგი კრებისათვის, რომელიც მოხდება 2 თებერვალს. კავშირი მოუწოდებს ამხანაგებს, რომ ხმა მისცენ № 1. დიდმელებო, გრდნელებო კვირას კრებაზე ამოდით. კრება ორთაჭალაშია. მოხდება ახალი არჩევნები, მოხსენებას გააკეთებს სარევიზო კომისია.

**ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა** კავშირის დელეგატების კრება მოხდება დღეს, 30 იანვარს, საღამოს 5 საათზე ქალაქის საბჭოს დარბაზში.

**თფილისის** მებაღეთა კავშირის „ძმობისგან“ (ნავთლუღის რაიონი) რედაქციამ მიიღო თავდაცვის ფონდისთვის 730 მანეთი.

**საგანგებო სასამართლო.** თებერვლის 1-დან ქ. სოხუმში საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო სასამართლო მოქმედებას დაიწყებს. ქუთაისში უკვე დაიწყო მოქმედება.

ივანე ნიკოლოზის ძემ და თეკლე ბაგლეს ასულმა ანჯაფარიძეებმა შესწირეს სახალხო გვარდიის პირველმა 80 მან., მეორემ —20 მან.

**საარჩევნო კრება.** საქართველოს ს. დ. მ. პარტიის მერვე უბნის საარჩევნო კომისია იწვევს მოქალაქეთა კრებას პარასკევს, 31 ს იანვარს საღამოს 5 საათზე, კომერციულ სასწავლებელში. თემა: საქალაქო არჩევნები.

**კ რ ე ბ ე ბ ი.**

დღეს, საღ. 6 საათზე, მეოთხე რაიონულ კოლექტივის ბინაზე (ოლღის ქ. 29) დანიშნულია მეოთხე რაიონულ კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა.

— დღეს საღამოს 5 საათზე ბიუროს ბინაზე შესდგება საქართველოს ს. დ. მ. პ. მე 8, მე 9 და მე 10 უბნების საარჩევნო კომისიების და მეორე რაიონული კოლექტივის წევრთა შეერთებული კრება.

— კვირას, თებერვლის 2-ს, საღამოს 6 ს. ვაჟთა I გიმნაზიის დარბაზში დანიშნულია საშუალო სკოლების მასწავლებელთა საზოგადო კრება, რომელზეც დასწრება სავალდებულოა. შესავალი კლასიკური ქუჩიდან.

## სალამი მთავრობას

**თფილისი.** იანვრის 25. მთავრობის თავმჯდომარეს სახელზე მიღებულია შემდეგი დეპეშები:

1) „ნინოწმინდის სოფლის საზოგადოება დაგრწმუნდით რა, რომ საქართველოს სოციალისტური მთავრობა ახორციელებს ერთა სოლიდარობის პრინციპს, ყრილობაზე დავადგინეთ ნდობა გამოუცხადოთ მას, სომხის ერევნის მთავრობას და დაშნაკელებს კი უნდობლობა და ზიზღი. ამასთანავე საქართველოს დამფუძნებელ კრების არჩევნებში ხმას ვაძლევთ მხოლოდ სოციალდემოკრატებს. ყრილობის თავმჯდომარე **ლაცაბიძე.**

2) „საქართველოს ელინთა პირველმა ყრილობამ, გახსნა რა დღეს თავისი სხდომა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის დედა ქალაქში, სთვლის თავის წმინდა მოვალეობათ საქართველოს ყველა ელინთა სახელით მიესალმოს ქართველ დემოკრატიას და მის წარმომადგენლებს, საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას წმინდა გულით. ელინთა დემოკრატია, როგორც ერთი კაცი, მზათ არის დაიცვას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მთელი ძალ-ღონით, სიცოცხლით, ქონებით და ყოველგვარ საშუალებით. გაუმარჯოს საქართველოს თავისუფალ დემოკრატიას. თავმჯდომარე **პაშალიდი.**

## საქალაქო არჩევნებისთვის

**რეზოლიუცია გამოტანილი მეორე რაიონის ნინო წმინდის უბნისა საერთო კრებაზე:**

ვიდებთ რა მხედველობაში, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ საქართველოს დემოკრატიას სწორი ხელმძღვანელობა გაუწია, გადაარჩინა საქართველო, როგორც გარეშე, ისე შინაური მტრისაგან, შეინარჩუნა და განამტკიცა რევოლიუციის მონაპოვარი თავისუფლებანი, შექმნა უდიდებრივი წესწყობილება და აგვირგვინებს ჩვენს დამოუკიდებლობას, ამიტომ სრული ჩვენი შეგნებით ხმას მივცემთ საქართველოს სოციალდემოკრატიულ მუშათა პარტიის სიას, როგორც ქალაქის, ისე დამფუძნებელ კრების არჩევნებში № 1-ს.

მოხსენება გააკეთა გ. გეგელოვმა.

თავმჯდომარე **ნ. თიკანაშვილი.**

**მოქალაქენო!**

მთელი რუსეთი სამოქალაქო ომის ასპარეზია.

სისხლის მორევში იღუპებიან დემოკრატიის საუკეთესო შვილები.

სოციალდემოკრატიამ დაამყარა საქართველოში რევოლიუციონური წესრიგი.

ხმა მიეცით სიას № 1.

## მუშათა შორის

**პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალური საბჭო.**

(17 იანვრის სხდომა).

დღის წესრიგში განსახილველია კითხვები; 1) სეკრეტარიატის ანგარიში, 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება და 3) სამანდატო კომისიის არჩევა. ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა აღმასრულებელი კომიტეტის წევრის განცხადებით დღის წესრიგში შეტანილი იქნა საკითხი ქალაქის თვითმართველობისა და დამფუძნებელ კრების წევრების არჩევნების შესახებ.

პირველ კითხვაზე მოხსენებას აკეთებს ამხ. სლუცკი. რვა თვის განმავლობაში, ე. ი. 1 მარტიდან 1 ნოემბრამდე, პროფესიონალურ კავშირთა საბჭოში შედიოდა 36 კავშირი—დაახლოვებით წევრთა რიცხვი ამ კავშირებისა არ აღემატებოდა 24,926 კაცს. ამ დროს განმავლობაში კიდევ შესდგა 4 პროფესიონალური კავშირი: ღვინის საწყობებში მოსამსახურეებისა, ლიმონათის ქარხანაში მომუშავეთა, ქალაქის თვითმართველობაში მოსამსახურეთა და მილიციონერთა, საერთო რიცხვით 3,225 კაცი. რასაკვირველია, ასეთი ვიწრო ორგანიზაციული მუშაობით არ უნდა დაკმაყოფილებულიყო საბჭო, მაგრამ ორგანიზაციულ მუშაობას ხელს უშლიდა პროფესიონალური მომუშავეების უყოლობა, რაიც საზოგადო მოვლენაა, არა თუ ჩვენთან, არამედ—ყველა ორგანიზაციებში. იმ მცირე რიცხვს მომუშავეებისას, რომელსაც შეადგენს პრეზიდიუმი, არ შეეძლო გაეკეთებია ის მძიმე დანაკისრი, რისი გაკეთებაც აუცილებელია ასეთი მებრძოლი ორგანიზაციისათვის.

თუმცა პრეზიდიუმი, ზემო ჩამოთვლილ მიზეზების გამო, მოკლებული იყო საშუალებას გაეწია წვრილი კავშირებისათვის, რომლებიც ახლათ არსდებოდნენ, ჯეროვანი ორგანიზაციული დახმარება, მაგრამ არასოდეს უარს არ ეუბნებოდა ცალკე კავშირებს, თუ კი ისინი მიმართავდნენ ხოლმე დახმარებისათვის მას. საბჭოს მოქმედების მეოხებით კეთილ სასურველათ დაბოლავდა ისეთი დიდი კონფლიქტები, როგორიც იყო, საკრედიტო დაწესებულებაში, ლაზარეთებში, აფთიაქში, თამბაქოზე და მრავალ სხვა კავშირებში მომუშავეთა უთანხმოებე. ყველა ნახსენები კონფლიქტები შეგვეძლოთ უმტკივნეულოთ ჩაგვეტარებია. ამასთანავე საჭიროა აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომ ამ ბოლო ხანებში თითქმის ყველა კავშირები მტკიცეთ განაგრძობენ ნაწევრები გზით სიარულს და სწორეთ ამით აიხსნება ის, რომ ყველა ისინი ყოველივე კონფლიქტის დროს მოითხოვენ ჩვენგან რჩევა დარიგებას. არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ისიც,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ პრეზიდიუმი ნაჩვენებ მუშაობის ასრულების დროს, ეხმარებოდა ისეთ კავშირებს, რომლებსაც დღემდის არ აქვთ წარმოდგენილი და გარკვეული—შეთვისებული კლასთა შორის ბრძოლის პრინციპები.

რომ მოგვემზადებია პროფესიონალურ მომუშავეთა კადრი, რომლებიც მტკიცეთ ყოფილიყვნენ გაცნობილნი მუშათა მოძრაობასთან—მათ კლასიურ ბრძოლასთან ყველა კულტურულ ქვეყნებში, ჩვენ შეძლებით მოვაწყეთ ინსტრუქტორთა კურსები სახალხო უნივერსიტეტის შენობაში, მაგრამ, სამწუხაროთ უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს კურსები ვერ იყო ფართოეთ გამოყენებული ზოგიერთ კავშირთა გამგეობების მიერ და არ გაგვიმართლდა ის იმედები, რომელზედაც ვეყრდნობოდით ჩვენ, კურსების მომწყობნი. ცალკე კავშირთა გამგეობები არ შეხვდნენ ამ ფრიად საყურადღებო საქმეს ფხიზლად და ამ კურსებმა ვერ მოგვცა ის ძალა, რომელსაც შეეძლო ჩაყენებოდა და სათავეში სდგომოდა პროფესიონალურ მოძრაობას. იყო ისეთი კავშირები, რომლებიც თავიანთ პროფესიების მიხედვით უნდა შეერთებულიყვნენ ერთ მტკიცე და მძლავრ ერთეულად, მაგრამ, სამწუხაროთ, ჩვენ ასეთ დადგენილებას წინ ეღობებოდნენ ზოგიერთ კავშირთა გამგეობები და ამის მეოხებით ბევრი კავშირი, მთლად თუ არა, ნახევრად გაქრენ. სულ რვა თვის განმავლობაში შეძლებით გავაერთიანებია შემდეგი კავშირები: სავაჭრო-მრეწველობაში მოსამსახურეთა, სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ დაწესებულებებში მომუშავეთა, საამშენებლო დაწესებულებებში მომუშავენი და მღებავები (მალიარები). ჩვენს წინ ეხლა კითხვათ სდგას გავაერთიანოთ შემდეგი კავშირები—ღვინის სარდაფებში და ლიმონათის ქარხნებში მომუშავეთა, მკერავთა, მზარეულთა და რესტორანში მომუშავეთა და სხვა. ამ კავშირების შეერთება გვიკარნახებს გაძლიერებას მრეწველობის იმ არა ნორმალური პირობებში, რომელიც გამეფებულია არამც თუ ჩვენში—სხვა უფრო კაპიტალისტურ ქვეყნებშიაც კი. არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს დღეს ის, რომ ზოგიერთი ჩვენი კავშირები გაძლიერების მაგიერ დღითი დღე უძლურდებიან. უკვე გადის წლიწად ნახევარზე მეტი მას შემდეგ, რაც კავშირები ლეგალურათ მოქმედებენ, მაგრამ სამ-მეოთხედს მათში დღესაც არ შეუძლია გითხრას თუ რამდენი წევრი ჰყავს კავშირს. სრული უქონლობა სტატისტიკური ანგარიშისა, არამც თუ გაფიცვების, კონფლიკტების, წევრთა რიცხვის, არამედ—სამუშაო ხელფასის რაოდენობა და, რაც უფრო ამაშფოთებელია უცოდინარობა იმისა, თუ რამდენი ფული აქვთ თავიანთ კასაში. აი რაა დამახასიათებელი დღევანდელი ჩვენი კავშირებისა. და თუ ეს პროფესიონალური მოძრაობის კრიზისი კიდევ გაგრძელდა,—დიდი საფრთხე მოელის ჩვენ კავშირთა მუშაობას. ხშირათ გვიხდებოდა მუშაობა შრომის სამინისტროსთან და ამ შემთხვევაში უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს შორის სრული კონტაქტი და ერთსულოვნება იყო. ჩვენს დადებითი მუშაობას შეეხება დაარსება იურიდიული კონსულტაციისა. ამ პატარა დაწესებულების გახსნა შეუჩნეველი დარჩა ჩვენ მუშებისთვის, მაგრამ ეს ძალიან ძვირფასი ორგანიზაციაა, რომელიც მიზნათ ისახავს დახმარებას და დაცვას, როგორც კავშირებისას, აგრეთვე თვითეულ მათი წევრის უფლებრივი და შრომის ხელშეკრულობის სფეროში. სულ სამი თვეა, რაც ეს ორგანიზაცია არსებობს, მიუხედავათ იმისა, რომ ფართე მასა ჯერაც არ არის მაზე გაცნობილი. იურიდიული კონსულტაცია იპყრობს შეკავშირებული პროლეტარიატის სიმპატიას და მისი მუშაობა დღითი-დღე იზრდება და მიზნათ გვაქვს დასახული გავადიდოთ მისი მუშაობა, რადგან ამის მოთხოვნილებას ვხედავთ. მომრიგებელი კამერა, რომელიც ასრულებს ძალიან მძიმე მუშაობას, აღმოცენდა და მოქმედობს ჩვენ მიერ შემუშავებულ წესდებით. კულტურულ-განმანათლებელ მუშაობასაც მივაქციეთ ყურადღება. ზევით მოგახსენეთ ინსტრუქტორთა კურსებზე. აგერ უკვე მეორე წელიწადია, რაც ოთხ მუშათა რაიონებში არსებობს უფასო სკოლები წერა-კითხვის უცოდინართათვის და ამ სკოლებს აქვთ სამი განყოფილება: ქართული, რუსული და სომხური, სადაც სწავლობენ დაახლოვებით 200 ბავშვი. ამის შემდეგ მთავარი ჩვენი ენერგია და ყურადღება მიქცეული იყო მუშათა კლუბის შექმნაზე. ბევრი დეფექტები, ბევრი არა სასურველ მოვლენებს ჰქონდა ადგილი ამ კლუბის მუშაობაში—ამას უარისყოფა ჩვენ არ შეგვიძლია, მაგრამ ერთი კი უეჭველია, რომ კლუბის მომუშავეები გამსჭვალულნი იყვნენ საუკეთესო იდეალებით; თავის წინ გადაშლილი ჰქონდათ საქმე ნამდვილი პროლეტარული კულტურისა, და თუ ეს პირველი ცდა, გამოუცდელობის გამო, არ გამოდგა მაზანშეწონილი, ამაში მარტო ჩვენ არ გვიდევს ბრალი. აღსანიშნავია ის, თუ რა გულგრილობა გამოიჩინეს თავის კლუბის მიმართ პროფესიონალურმა კავშირებმა. უკანასკნელათ უნდა მოგახსენოთ, რომ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი საქმე გააკეთა პრეზიდიუმმა—ეს არის იაფ-ფასიანი სასადილო, რომელიც დღითიდღე იზიდავს ფართე დემოკრატიას. ამ ხანებში პრეზიდიუმი სცდილობს, მოახდინოს ამ დაწესებულების რეორგანიზაცია, რათა გამოსწორებულ იქნას ის შეცდომები, რაიც ემჩნეოდა მის მუშაობაში. დაბოლოს უნდა მოგახსენოთ, რომ ყოველი ფეხის გადადგმაზე გვეღობებოდა ერთი რამ: რა მუშაობისთვისაც არ უნდა მოგვეკიდა ხელი ჩვენ, წინ გვეღობებოდა უფულობა. უსახსრობა ხშირათ გვაიძულებდა უარი გვეთქვა ახალი გეგმის ასრულებაზე. მიუხედავათ ჩვენი მრავალი თხოვნისა, ზოგიერთ შემთხვევაში მუქარით—საბჭოდან გამორიცხვით, 5% გადასახადისა ძალიან მცირეთ შემოდიოდა, რაიც არ გვყოფნიდა მიმდინარე ხარჯების დასაფარავათ. და თუ ყველა ამას ზედ დაურთავთ იმ დეფიციტებს, რომელსაც გვაძლევდა მუშათა კლუბი, თქვენთვის ნათელი წარმოსადგენია, თუ რა ცუდ პირობებში გვიხდებოდა მუშაობა.

გ. პა—ძე

(დასასრული იქნება)

### საბაჟოების შემოსავალი 1918 წ.

1) მთავარი საბაჟო (ტფილისი)—4.088.671 მან., 2) ფოთი—1.537.307 მ., 3) ნატანები—128.263 მ., 4) სოხუმი—589.466 მ., 5) სადახლო—171.711 მ. 58 კაპ., 6) ლაგოდეხი—84.838 მ. 08 კაპ., 7) გუდაუთი—81.338 მ., 8) სანაინი—49.656 მ. 46 კ., 9) სოჩი—25.828 მ. 40 კ., 10) ოჩემჩირე—16.172 მ. 25 კ., 11) წნორის წყალი—25.510 მ. 42 კ., 12) გაგრა—8.685 მ., 13) ახალი ათონი—3.112 მ. 75 კ., 14) ოზურგეთი—2.657 მ. 74 კ., 15) ანაკლია—232 მ. 27 კ., სულ 6.814.450 მან. 12 კაპ.

სხვა საბაჟოებიდან, როგორც მაგალ. აწყური და ყაზბეგი, რომლებიც წლის ბოლოს გაიხსნა, ცნობები არაა. ახლო მომავალში გამოქვეყნდება გატანილ და შემოტანილ საქონლის რაოდენობა.

ს. სხივიშვილი.

## ს.-დემ. პარტიაში

**ტფილისი.** 24 იანვარს შესდგა პირველ რაიონის პარტიული კრება ამხ. გ. სადაგაშვილის თავმჯდომარეობით. დღის წესრიგში იყო დასმული მოხსენება არჩევნების შესახებ და მოვალეობა წევრებისა ამ არჩევნებში და ჯამაგირების მომატების შესახებ. მოკლეთ ამხ. გ. ბახტაძემ კრებას გააცნო ყველა ის მუშაობა და მოქმედება, რაც ამ ხანში გააკეთეს ჩვენმა არჩეულმა პირებმა და მასთან დაუმატა იმ ერთი ნაწილი ყოფილ ამხანაგების მოქმედება მას შემდეგ, რაც ჩვენ გამოვაცხადეთ დამოუკიდებლობა და ბოლოს მოუწოდა ყველა ამხანაგებს, რომ ენერგიული მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში და მით გამარჯვება მოიპოვოთ. ამხ. გ. სადაგაშვილი შეეხო, როგორც ქალაქის თვითმართველობის მუშაობას, აგრეთვე პარლამენტისასაც და სთქვა, რომ იმ პირობებში, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებოდით მეტის გაკეთება არც შეიძლებოდა. ჯამაგირების მომატების შესახებ კრებას გააცნო, რომ მთავრობამ უკვე მიიღო კანონი და ეხლა განსაკუთრებული კომისიაა არჩეული და მუშაობა ამ გზით სწარმოებს. ზოგიერთმა ამხ. გამოსთქვეს, რომ საარჩევნო სიაში არ არიან შეტანილნი საუკეთესო ამხანაგები და რათ მოხდა ეს. მუშებიც უნდა იყვნენ, რომ გაეცნონ ყოველივე მუშაობას. თანაც დაუმატეს, რომ ზოგიერთი პირები, რომლებიც ჩვენ წრიდან გავიყვანეთ, თითქმის მთლად ჩამოგვშორდნენ და ერთხელაც აღარ მოდიან ჩვენთან და არ გვაცნობებენ მათ ნამოქმედარს. დანარჩენმა ამხ. ვინც კი ილაპარაკეს, ყველამ მოუწოდეს, რომ დღეს ერთი ათად გვმართებს ჩავერიოთ მუშაობაში, რომ ეთხელ კიდევ ჩავცეთ მახვილი ჩვენს მტრებს, რომლებიც გარს შემოგვერტყმიან და ცდილობენ ჩვენს დამოუკიდებლობის გაბათილებას და ანარქიის გაძლიერებას. მაგრამ საქართველოს დემოკრატია და მისი ხელმძღვანელი პარტია იმდენათ მომზადებულია, რომ ყველას გასცემს სათანადო პასუხს. ბოლოს შემოიტანეს წერილობითი განცხადება სადეზინფექციო კამერის შესახებ, რომ განაპირა უბნებზე, სადაც უფრო მძვინვარებს გადამდები სენი და მუსრს ავლებს მცხოვრებლებს, იქნეს ყურადღება მიქცეული. კრებამ ერთხმად აირჩია ამხ. გ. სადაგაშვილი, რომ მან მიმართოს კრების სახელით ქალაქის თვითმართველობის გამგეობას და გააცნოს სადეზინფექციო კამერის მოქმედება.

მეთვალყურე.

## პროვინცია

**ბორჯომი.** საქალაქო არჩევნები დანიშნულია 30 იანვარს. არჩევნებში ადგილობრივი მოქალაქენი საკუთარ სიით გამოვლენ. ს.-დემოკრატები და ს. ფედერალისტები ცალ-ცალკე სიით. დამატებითი სიაში შესატანი უკანასკნელი ვადა 25 იანვარია. ქალაქი დაყოფილია 3 საარჩევნო უბნათ.

რაიონის კომისრად დაინიშნა პრაპ. ევდევიძე, რომელიც ამ ჟამად ახდენს კომისარიატის რევიზიას; როგორც ირკვევა კომისარიატში არ ყოფილა წესიერი საქმის წარმოება და ბევრ უკანონობას ჰქონია ადგილი, რაიც საბოლოოდ გამოირკვევა რევიზიის გათავების შემდეგ.

დამფუძნებელ კრების სიები უკვე გამოქვეყნებულია რაიონში. საზოგადოების და სასოფლო საარჩევნო კომისიები არჩეულია.

24 ამ თვეს მოხდა ბორჯომის რაიონის სახ. მასწ. ფილიალურ განყოფილების წევრთა კრება, რომელზედაც განხილულ იქნა შემდეგი კითხვები: მოხსენება საგუბერნიო ყრილობაზე გაგზავნილ დელეგატისა, მასწავლებელთა სანატორიუმის საკითხი, სკოლების ერობის ხელში გადასვლა, სახალხო სკოლების გასაცნობათ ევროპაში წარმომადგენლის გაგზავნა და საწევრო გადასახადის გადიდება. პირველ საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს მასწ. გ. ვაშაკიძე. მან კრებას გააცნო ყრილობის ნამუშევარი მთავარ გამგეობის მიერ დასმულ საკითხების შესახებ, რაიც კრებამ საერთოდ მოიწონა. კამათი გამოიწვია მეორე საკითხმა. საქმე იმაში არის, რომ რესპუბლიკის ყველა მასწავლებლებმა შეიძლება არც კი იცოდეს, რომ ბორჯომში არსებობს მასწავლებელთა სანატორიუმი, რომელიც აშენებულია მასწავლებელთა შეწირულებით, „თეთრი ყვავილი" და სხვა სახით. ეს შენობა ჯერ ჯერობით სრულიად დამთავრებული არ არის, მაგრამ ზაფხულში საცხოვრებლად, ასე თუ ისე, მაინც გამოდგება. ამ ჟამად ის თუმცაღა თავისუფალია, მაგრამ მით მასწავლებლები სრულებით ვერ სარგებლობენ და ყველა გამვლელ-გამომვლელი სამხედრო ნაწილი აქ პოულობს ბინას. საჭიროა მასწავლებლებმა მიაქციონ ამ ერთად ერთ მასწავლებელთა ქონებას ყურადღება და გამოიყენონ იმ დანიშნულებისათვის, რა მიზნითაც ის აშენებულია. კრებამ დაადგინა, აღძრას შუამდგომლობა მთავარ გამგეობაში, რათა მან ჩაიბაროს სამოსწავლო მთავრობიდან სანატორიუმი და მით გახადოს სანატორიუმის ბატონ-პატრონათ მასწავლებელთა კავშირი. სანატორიუმის ქონების გაცნობა დაევალა გამგეობას. მესამე საკითხის შესახებ კრებამ სურვილი გამოსთქვა, რათა ტფილისის გუბერნიის მასწავლებლები შეუერთდენ ქუთაისის გუბერნიის მასწავლებლებს ევროპაში წარმომადგენლის გაგზავნის საქმეში, იქაურ სკოლების გასაცნობათ. ამიტომ კრება წინადადებას აძლევს მთავარ გამგეობას იქონიოს მიწერ-მოწერა ქუთაისის საგუბერნიო მასწ. კავშირთან და ერთად იმოქმედონ. საწევრო გადასახადი, თანახმად ყრილობის დადგენილებისა, გადიდებულ იქნა 10 მანეთამდე. ერობის ჩასაბარებლად წინადადება მიეცა სკოლების გამგეთ სასწავლებლის ქონების სიის დამზადება, რომლითაც სასწავლებელს ჩაიბარებს ერობის მიერ დანიშნული მიმღები კომისია.

ნოდე.

## ცნობები

უკვალოდ დაიკარგა სომხეთთან ომის დასაწყისში 15 დეკემბერს მე-5 პოლკის მეოთხე როტის ჯარისკაცი არჩილ ილიას ძე რუსაშვილი. იგი იყო ვაჩნაძის რაზმში, რომელიც ძალიან დაზარალდა, რადგან ღამე მოულოდნელად დაესხა მტერი მატარებელს სადახლოს და სანაინს შუა. ვსთხოვ ყველას, თუ ვინმემ იცის რამე ამის შესახებ, გვაცნობონ. ტფილისი, ვარდის უბნის ქუჩა, № 4. მღვდელს ნათიძეს.

---

ჩემი სიძე იოანე სტეფანის ძე კიასოვი მსახურობდა სადგურ ალავერდში სადგურის უფროსის თანაშემწეთ, იქ ცხოვრობდა ცოლშვილით. რაც სომხეთის მთავრობა თავს დაესხა საქართველოს, მას შემდეგ არავითარი ცნობა აღარა მაქვს. ვსთხოვ ყველას, ვინც რაიმე იცის მის შესახებ მაცნობოს შემდეგი მისამართით: ოზურგეთი, მომხმარებელი საზოგადოება „ეკონომიაში" ყარამან იმედაშვილს.


## განცხადებანი

**ა. ნ. შატილოვი**
იღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფთ სადამოს 4—6 საათ. სემიონოვის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლო).

ექიმი
**ანასტია ლევიცკი-ორლოვსკი**
მიიღებს შინაგან სნეულებიან და ბავშვების ავადმყოფებს. სპეციალურად მალარიის (ციების) წამლობა. ყოველ დღე დილის 12—2 ს. და სალამოს 6—7.
ქსენიევის ქ. № 9, ტელ. 12—88. (25—1)

ექიმი ნიკოლოზ ივანეს ძე
**მახვილაძე**
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე სადამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის ახლოს.

ექიმი ქალი
**რ. ბ. შიუკო-საგაშვილი**
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და სადამოს 6—7 საათ. მიხეილის პრ., № 119, ტელეფონი № 9—26.

ექიმი
რენტგენის და ელექტრ. სამკურნ. კაბინეთი
მედიცინის დოქტორის
**ბ. მერაბოვისა**
(რენტგენოლოგი წ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა.
მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს, სპეციალურად ფილტვების, ჭლექის ავადმყოფობა (ტუბერკულიოზი), გულისა, კუჭისა და ჰაჰებისა. მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილებს რიგს გარეშე იღებენ. ბებუთოვის ქუჩა, № 23, ტელეფ. 7—92, ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და სადამოს 5—8 საათამდე.
**ხარჯები უფასოდ.**

კბილის საექიმო კაბინეთები
თედორე სამსონის ძე ციხომელიძისა
ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და სადამოს 5—8 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 18—85.

ექიმი
**დ. ვ. ჯავახიშვილი**
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავამყოფთ ყოველ დღე სად. 4—6 საათამდე. ბინა ვერა, გუნიბის ქ., № 41, ტელ. № 14—60.

ექიმი მ. ა. შაფრანი.
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და სადამოს 5—8 საათამდე. ქალების სადამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქ. № 33.

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—1½ საათამდე, სადამოს 5—6 ½. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 16—65.

გაიხსნა თვალის საავადმყოფო
(მუდმივი საწოლებით)
**ექიმი დონხინისა**
ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს" ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

ექიმი
**კეკელია**
იღებს ვენერიულ სნეულებიან ავათმყოფთ (914, 606 შეშხაპუნება) მიღება დილის 10—11 ს. სადამოს 4—6 საათ. მისამართი: მიხეილის პრ. № 116 სასტუმრო „ნოეს" პირდაპირ. ტელ. 14—28.

**გამოცდილი მასწავლებელი**
ამზადებს ქალ ვაჟთ ყველა სასწავლებლისათვის. მსურველს (უცხოელს) ასწავლის ქართულ ენას. მისამართი: მილიუტინის ქუჩა, № 9, ბინა ეზოში 45. (3—3)

## სახელმწიფო თეატრი
ხუთშაბათს, 30 იანვარს, ხორის ბენეფისი, საბანეევას, ალეშკოს, სპიტკოს ინსას ჩალიპსკის, პოლიაევას, ისეცკის მონაწილეობით
**„სნეგუროჩკა"**
შაბათს, 1 თებერვალს „ბოგემია".

განცხადება
### ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს სავაჭრო განყოფილებისაგან
ამ მოკლე ხანში ინგლისში იგზავნება საგანგებო პირი იქ სხვა და სხვა საქონლის შეძენის და საქართველოში მისი გადმოზიდვის საკითხის გამოსარკვევად.
ამის გამო სავაჭრო განყოფილება საქონლის გამცვლელი კომიტეტი სთხოვს ყველა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათ და კერძო პირთ, არა უგვიანეს მომავალ თებერვლის ხუთ რიცხვისა წარმოადგინონ სავაჭრო განყოფილებაში (გოლოვინის პრ. 22) სია თავ თავიანთი დარგში, საქართველოსთვის საჭირო მასალის შეძენის შესახებ ინგლისში.
სიის შედგენის დროს სასურველია მხედველობაში იყოს მიღებული საჭიროება სრულიად საქართველოისა.

## სახელმწიფო თეატრი „კავშირი"-ს დასი.
წარ. № 16 პარასკევს, 31 იანვარს წარ. № 16
„კავშირი"-ს დასის მიერ წარმოდგენილი იქნება მეცხრედ ი. გედევანიშვილის ზღაპარი ფეერია 1 ნაწ: 3 მოქმ. და 7 სურ.
**სინათლე**
ბალეტი ბ. ვაკარეცის ხელმძღვანელობით, ხორო და ორკესტრი. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.
რეჟისორი შალვა დადიანი. დასაწყისი სადამოს 7 საათზე.
წარმომადგენელი ა. გაჩეჩილაძე. მსახიობთა კავშირის დირექცია.
მზადდება: დიდი ამბავი ტყუილ უბრალოდ, სინათლე მეორე ნაწილი, მსხვერპლი

## ერთობის უბნის მუშათა კლუბში
ხუთშაბათს, 30 იანვარს მოტოციკლეტო-ტყვიის-მფრქვეველ რაზმისა დ არსებული სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება ამავე რაზმის სამკითხველოს სასარგებლოდ
I **„სიკვდილით დასჯა"** დრამა 3 მოქმედებიანი, ს. ერთაწმინდელის
II კბილის ექიმთან ვოდევილ 1 მოქმედებიანი, ზ. გრემის.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ა. ჭავჭავაძე, ბ-ნი გრემი, ვ. კველაშვილი, დ. მელაძე, მლაბნიშვილი, გ. გაგნიძე და სხ. დასაწყ. საღ. 7 საათზე. რეჟისორი ზ. გრემი.

## განცხადება
ბათუმის ქართველთა ეროვნული საბჭო ხსნის სრულ უფლებიან ქართულ გიმნაზიას ორთავე სქესისათვის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ გამომუშავებული პროგრამით. საბჭო სთხოვს მშობლებს, რომელთაც სურთ მიაბარონ ხსენებულ გიმნაზიებში თავიანთი შვილები, მიაწოდონ ეროვნულ საბჭოს ქ. ბათუმში შემდეგი ცნობები: 1) სქესი მოსწავლისა, 2) მოსწავლეთა რაოდენობა, 3) რომელ კლასში სურს შესვლა. სწავლის ფული იქნება არა უმეტეს იმისა, რაც საქართველოს რესპუბლიკის სხვა გიმნაზიებშია. სწავლა დაიწყება ახლო მომავალში.
მათ, ვინც საქართველოს რესპუბლიკის გიმნაზიებში უკვე შეტანილი აქვთ მეორე ნახევრის სწავლის ფული და მით ისურვებენ ზემო აღნიშნულ გიმნაზიაში გადმოსვლას, ეს ფული დაუბრუნდებათ.
ბათუმის ქართველთა ეროვნული საბჭო. (10—4)


[illegible] № 1.